პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომი. კომიტეტის და სრულ. სამმართ. ბ., ბ., ყ.-პარტ. და მეტალისტთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 (ზე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამკლოვიანი განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

№ 150 ოთხშაბათი, 5 ივლისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 5 ივლისი 1922 წ. № 150

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს ყველა კომიაჩეიკებს

— პარასკევს 7 ივლისს —

მორიგ ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასვან შემდეგი საკითხები:

1) გერმანიის ამბები;

2) ერთიანი პარტიული დღე, პასუხისმგებელ ამხანაგების მიმავრება იაჩეიკებზე და დამხმარე იაჩეიკების შესახებ.

მოხსენებები უნდა ჩატარდეს მიმაგრებულ ამხანაგების საშუალებით.

მოხსენებისათვის გერმანიის ამბების შესახებ, უნდა ისარგებლონ თბილისის კომიტეტის საagიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თეზისებით, რომლებიც მოთავსებული იყო გაზეთ „პრავდა გრუზიის“ და „კომუნისტის“ კვირის ნომერში.

დღის წესრიგის მეორე პუნქტისათვის ისარგებლონ თბილისის კომიტეტის ცირკულიარით №№ 166, 167 და 172.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე: **რუბენი.**

დღეს, 5 ივლისს, საღამოს 5 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნება

სრულიად საქართველოს მეტყევეების მეორე ყრილობის საზეიმო სხდომა

სხდომაზე მოწვეულია ფაბრიკა ქარხნების კომიტეტები.

(2—1) **პროფკავშირის საორგანიზაციო განყოფილება.**

მივეშველოთ დამშეულებს

ჩვენ ყურადღებას ისევ იპყრობს დამშეულთა დახმარების საკითხი. ჩვენ მანამდე ვერ მოვისვენებთ, სანამ არ დავძლევთ ამ უბედურებას, სანამ გვესმის დამშეულთა კვნესა-მოთქმა. ასეთების რიცხვი კი ჯერ კიდევ დიდია.

მართალია, დახმარების საქმეში დღევანდლამდე ბევრი რამ არის გაკეთებული. საბჭოთა მთავრობა იმ თავიდანვე, სიმშილის გაჩენის მომენტიდანვე, იღებს ყოველ შესაძლებელ ზომას დამშეულთა უზრუნველსაყოფად. ჩვენ ამას წინედ გამოქვეყნებული გვქონდა ვრცელი ანგარიში დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტის. ამ ანგარიშიდან ყველა დაინახავდა, თუ რა კოლოსალური მუშაობა გასწია კომიტეტმა მან დიდძალი სურსათ-სანოვაგე შეიძინა და დააჩინა, რითაც ათასობით იხსნა დამშეული ხალხი. მაგრამ ამავე ანგარიშიდან ისიც სჩანდა, რომ სიმშილს მასიური ხასიათი აქვს ჩვენში, დღევანდლამდე აღმოჩენილი დახმარება წვეთია ზღვაში და საჭიროა ქვეყნის ყველა რესურსების გამოყენება, ყველა ძალების დაჭიმვა ამ უბედურებასთან საბრძოლველად.

ასეთი მდგომარეობა გათვალისწინებული აქვს არა მარტო მთავრობას, არამედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც, რომელნიც ამ საქმეში გვერდში უდგანან საბჭოთა ხელისუფლებას და აქტიურად არიან ჩაბმულნი სიმშილთან ბრძოლის ორგანიზაციაში.

ჩვენს ამოცანას შეადგენს მუშაობა უფრო გავაძლიეროთ, გამოვიჩინოთ მაქსიმალური ენერგია, რათა რამენაირად გავიტანოთ თავი ახალ მოსავლამდე. ეს ახალი ჭირნახული არც ისე შორს არის. აღმოსავლეთ საქართველოში უკვე მალე შემოვა პურეული, დასავლეთ საქართველოში კი 2—3 თვის შემდეგ. მანამდე კი ჩვენ გვაქვს საშუალება გაუმკლავდეთ სიმშილს, თუ ყველა შევიგნებთ მდგომარეობის სირთულეს და პირნათლად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას გაჭირვებაში ჩავარდნილ მშრომელთა წინაშე.

დამშეულთა დახმარების საქმისადმი ყურადღების უფრო გაძლიერება, მისი გადაქცევა ჩვენი მიმდინარე საქმიანობის ერთ მთავარ ობიექტად,—ამას გვავალებს დღევანდელი სინამდვილე, რესპუბლიკის და მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესები.

სწორედ ასეთ მიზანს ისახავს დამშეულთა მდგომარეობის შემოწმების ორკვირეული, რომელიც უნდა გატარდეს ს. კ. პ. ც. კ. დადგენილებით.

როგორც ვსთქვით, დამშეულთა დახმარების საქმეს ეწევიან ერთი მხრივ მთავრობა და მისი ორგანოები, მეორე ხრივ პარტიული, პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

შიმშილმა, ქალაქის გამოცოცხლებამ და მისკენ უკანვე ლტოლვამ, გაადიდა შრომის მიწოდება და შეამცირა მოთხოვნა.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით უმუშევართა რიცხვი მიმდინარე წლის მარტში და მაისში. საგრძნობლად გაიზარდა ეს ზრდა უმთავრესად დაეტყო ინტელიგენტურ შრომას (საბჭოთა მოსამსახურეებს მეორე ადგილი უჭირავს კვების დარგში მომუშავეთ) შემდეგ (მელითონელებს, მეტყევეებს, მკერვალებს, პოლიგრაფიულ წარმოებაში მომუშავეთ და სხვას. შრომის მიწოდების ზრდასთან პროგრესიულად ეცემა მოთხოვნა. რომელიც მაისში დავიდა 31 პროცენტამდე მიწოდებასთან შედარებით.

ეს ცნობები კიდევ ვერ გამოხატავენ სავსებით სინამდვილეს, და სხვა მიზეზების გამო შრომის ბირჟა ვერ შლის უმუშევრობის მთლიან სურათს. ბირჟის გარეშე უმუშევარნი უფრო მეტია, ვიდრე იქ ჩარიცხულნი. ამასვე ამტკიცებს სტატისტიკის რიცხვებიც, სადაც ნათლად ჩანს რომ მასიური შტატების შემცირება ბირჟისათვის სრულიად უმნიშვნელოდ ჩატარებულა და არავითარი გავლენა უმუშევართა რიცხვის პროპორციონალურად გაზრდაზე არ მოუხდენია. აიღეთ მაგალითად, შრომის მოთხოვნა. მაისში ის უდრიდა 413 (ტფილისში.). ეს რიცხვი ძლიერ მცირეა, ვინაიდან უკანასკნელ დროს სხვა და სხვა წვრილ წარმოებების სავაჭრო დაწესებულებების და გაერთობების რაოდენობა გაიზარდა, და ბუნებრივი იყო მოთხოვნილების ზრდა და არა დაცემა სხვა თვეებთან შედარებით, აქედან შეიძლება მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა, რომ მუშა მოსამსახურეთა მიღება ხდება არა საერთო წესით შრომის ბირჟის საშუალებით არამედ უმეტესად მის გარეშე. ნამდვილად რიცხვი უმუშევრებისა კი საგრძნობლად გადიდდა და კიდევ თან და თან იზრდება.

რამდენად უმუშევრობა არსებობს და იმატებს, იმდენად საჭიროა მის საწინააღმდეგოდ ბრძოლის გაძლიერება. მის საწინააღმდეგო ზომებს ეკუთვნება ხასიათი არა შებრალებისა და ქვეყლმოქმედებისა, არამედ ნაკარნახევი იქნება მეურნეობის აღორძინების თვალსაზრისით. ეხლა შემცირებულ წარმოების აღდგენის და გაფართოვების შემდეგ, გაიზრდება მოთხოვნა მუშა ხელზე. ამიტომ უმუშევართა უზრუნველყოფას უნდა დაედოს სარჩულად მომავალზე ზრუნვა—მუშა-ხელის შენარჩუნება. უმუშევრების საერთო რიცხვიდან უნდა ამოიკრიბოს განსაკუთრებული ჯგუფი დახელოვნებული მუშებისა, წარმოებაში დიდი ხნის განმავლობაში ჩაბმულნი და სხვ.

უმუშევრობასთან ბრძოლისათვის საჭიროა: ა) უმუშევართა უზრუნველყოფად მისი სწორად განაწილება, ბ) უმუშევრობის შემცირება შრომის არტელების შედგენით, მუშა ხელის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანით, როცა ამას მოითხოვს ადგილობრივი შრომის ბაზარი, გ) აღრიცხვა-განაწილების აპარატის გაძლიერება. შრომის ბირჟის ხელში უნდა ტარდებოდეს ყველა, ვინც მუშაობას ეძებს, მის გარეშე არ უნდა იქნეს დაშვებული მიღება მუშა მოსამსახურეებისა. ბირჟა მუდამ მზად უნდა იყოს მუშა ხელზე მოთხოვნას დასაკმაყოფილებლად, სათანადო დახელოვნებული მუშების მიწოდებით და სხვა. ყოველგვარი ბრძოლა უმუშევრობასთან იქნება პასიური, თუ მუშა-მოსამსახურეთა მიღება არ იქნა შრომის ბირჟის საშუალებით.

მაშასადამე, მხოლოდ შრომის ბირჟის ორგანიზაციას და მის მუშაობის ნაყოფიერებას შეუძლია რამოდენიმეთ უმუშევრობის განეტლება და ამ საკითხის სწორად მოწესრიგება. ამისათვის საჭიროა, რომ პროფკავშირებმა მას მიაქციონ სათანადო ყურადღება, გაუწიონ ხელმძღვანელობა და თვით ჩაებან მის მუშაობაში.

ს. გოდაბრელიძე.

უმუშევრობა ჩვენში

ამ ბოლო დროს ჩვენში უმუშევრობა თან და თან იზრდება გასულ წელთან შედარებით. როცა წარმოება დაწესებულებათა მუშა-ხელით მომარაგებისათვის იძულებით ზომებს (მობილიზაციას) ხმარობდნენ, ეხლა კი ეკონომიურ პირობების შეცვლამ, წარმოება-დაწესებულებათა შემცირებამ, შრომის პირობების გაუმჯობესებამ, სტიქიით გამოწვეულმა შიმ-

ბრძოლა სიმშილოგასთან

ყველა სოლიდარ და სამაზრო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

შიმშილობა ჯერ კიდევ არ კლებულობს, საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ძალ-ღონეს ხმარობს, რათა დაიცვას დ მშეული მცხოვრებნი საშინელ სიკვდილისაგან, სახელმწიფოს მიერ აღმოჩენილი დახმარება ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალი ენერგიისა დამშეულთა სასარგებლოდ შემოწირულების აკრებაში, რაიაც უნდა დაგვიჯდეს ამ მუშაობაში უნდა ჩავაბათ მცხოვრებთა ჯანსაღი ძალები, საჭიროა რომ მცხოვრებთა მხრივ აღმოჩენილი დახმარება იყოს გეგმით განსაზღვრული და სისტემატიური.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ავალებს ყველა პარტიის წევრებს, რომელნიც მუშაობენ პროფესიონალურ, კოოპერატიულ, სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და ქარხნებსა და ფაბრიკებში, **გადაუხვევლად** გაატარონ ყველა კრებებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე და სხვ. რეგულიარული დახმარების პრინციპი.

კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირმა და ქალთა განყოფილებებმა უნდა მოახმარონ ამ კამპანიას მთელი თავისი ძალ ღონე დახმარების—მცხოვრებლების განუწყვეტელი თვალყურის დევნებისათვის.

ამ ხრივ მთავარი როლი უნდა ითამაშოს კოოპერატივებმა, განსაკუთრებით სავაჭროებმა დამშეულთა სასარგებლოდ პროცენტულ გადარიცხვით.

შეამოწმონ და წააქეზონ ამ მხრივ კოოპერაცია და ითავონ ადგილზე შეტანონ პროცენტული გადარიცხვა დამშეულთა დამხმარე კომიტეტების კასაში—ეი **ძირითადი ამოცანა** პარტიულ კომიტეტებისა და მუშათა ორგანიზაციებისა.

სოფელი დღემდის არ არის ჩამბული დამშეულთა დახმარების საქმეში. იმ ადგილებში, სადაც მოსავალი კარგი იყო, გლეხობა დაეხმარება და უნდა დაეხმაროს თავის დამშეულ მოძმეებს, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და გამოიმუშავონ დახმარების ფორმები.

ყოველ ექვს გარეშეა, რომ წითელი არმიის მიერ აღმოჩენილი დახმარება დღევანდელ მომენტამდე დამაკმაყოფილებელი იყო, საჭიროა, რომ ეს დახმარება კიდევ მეტად გაძლიერდეს ამ ზაფხულზე.

ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში ფართოდ დაიყენონ დამხმარების კამპანია, სახალხო სეირნობების, საღამოების გამართვით, წარმოდგენების, სპეციალურ-კინო სურათების დადგმით, ლატარიისა და შაბათობის მოწყობით.

კამპანია უნდა დაიწყოს 9 ივლისს დახმარების მდგომარეობის შემოწმებით, რომელსაც უწევენ დამშეულებს სახელმწიფო პარტიულ, პროფესიონალური, საზოგადოებრივი და სხვა დაწესებულებანი.

ეს წერილი უნდა განხილულ იქნეს ყველა პარტიულ კომიტეტების და ცალკე თვითეულ იაჩეიკის მიერ.

ორკვირეულის შემოწმების შედეგების შესახებ სპეციალური ანგარიში უნდა გამოიგზავნოს ცენტრალურ კომიტეტის საagიტაციო საპროპაგანდო განყოფილებას.

ამასთანავე ერთად გიგზავნიან თქვენ „ორკვირეულის“ გატარების ინსტრუქცია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ოკუჯავა.

საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის საagიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **კვირიკაძე.**

ინსტრუქცია

დამშეულთა დახმარების საქმის მდგომარეობის შესამოწმებლად ორკვირეულის ჩატარების წესის შესახებ

1. ორკვირეულის ამოცანები.

დამშეულთა დახმარების მდგომარეობის შემმოწმებელი ორკვირეულს მიზნად აქვს:

ა) გამოიკვლევს მოუსავლობისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა რიცხვი და მათი დახმარების საქმის მდგომარეობა;

ბ). გამოარკვიოს და გაანსაზოგადოებრივივოს სიმშილობასთან ბრძოლის ყველა ფორმების და სახეები;

გ) გაძლიეროს დამშეულთა დახმარების საქმე.

2. ორკვირეულის ორგანიზაცია.

1. დამშეულთა დახმარების შემოწმების კომპანიის საერთო ხელმძღვანელობა ეკისრება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, დამშეულთა დამხმარე ცენტრ. კომიტეტის, პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, პოლიტიკურ განყოფილების და კომუნისტურ ახალგაზრდობის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

2. სამაზრო ცენტრებში ამ მიზნით პარტიულ კომიტეტებთან არსდება სპეციალური კომისიები: პარტიულ კომიტეტის, დამშეულთა დამხმარე კომიტეტს, პროფკავშირთა საბჭოს, პოლიტიკურ განათლების, სამხედრო ნაწილების უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოს და კომუნისტურ ახალგაზრდობის კომიტეტის წარმომადგენლების შემადგენლობით.

შენიშვნა 1. დიდ ქალაქებში, სადაც არსებობენ რაიონული კომიტეტები, მუშაობის უერო წარმატებით ჩასატარებლად ეწყობა რაიონული კომისიები რაიონულ პარტიულ კომიტეტების რიცხვის მიხედვით.

შენიშვნა 2. კომისიებს აქვთ უფლება აღნიშნულ მუშაობის ჩასატარებლად დანიშნონ რწმუნებულები, და ამ მიზნისთვის ჩააბან საქმეში ამხანაგები პარტიულ კომიტეტების, პროფოკავშირების, ქალთა განყოფილების და წითელ არმიის ნაწილების პოლიტიკურ ორგანოების რეკომენდაციით.

3 შემოწმებას ექვემდებარებიან დამშეულთა დახმარების ყველა ის კომიტეტების მოქმედები, რომელიც იმყოფებიან, აღმასრულებელ კომიტეტებთან, დაწესებულებებთან, წარმოებებთან, ორგანიზაციებთან, სასოფლო საერთაერთო დახმარების კომიტეტებთან და სხვ.

შენიშვნა. შემოწმებისაგან არ თავისუფლდებიან აგრეთვე ის დაწესებულებანი, წარმოებანი, და დანიხულებული პუნქტები, რომელთაც დღემდის არ მოუწყვიათ დამშეულთა დამხმარე კომიტეტები. ამ შემთხვევაში შემოწმებელ კომისიის ამოცანას შეადგენს, გამოარკვიოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტის არ ყოფნის მიზეზები და მოაწყოს დამშეულთა ბუდმივი დახმარება.

3. შემოწმების წესი

1. შემოწმება სწარმოებს წარმოებათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციების მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებებზე და სასოფლო ყრილობებზე.

შენიშვნა თუ ამოწმებს არა კომისია, არამედ მისი რწმუნებული, მაშინ კრების პრეზიდიუმი სდგება შემდეგ ნაირად: თავმჯდომარე შემმოწმებელი კომისიის რწმუნებული, წარმომადგენელი საქარხნო ან ადგილობრივ კომიტეტისა. (სასოფლო ყრილობაზე აღმასრულებელ კომიტეტისა და ერთიც საერთო კრებიდან.

2. კრებაზე უნდა მოსმენილ იქნეს შემდეგი მოხსენებები.

ა) კომისიის რწმუნებულისა, დაზარალებულ ოლქებში სიმშილობის სიდიდის და შემმოწმებელ კომპანიების ამოცანების შესახებ;

ბ) სახ კოშისარიატთან, აღმასკომის განყოფილებებთან, წარმოებებთან, დაწესებულებებთან, თემის და სასოფლო საერთაერთო დახმარების კომიტეტთან და სხვ. არსებულ დამშეულთა დამხმარე კომიტეტების მოხსენებები.

გ) დამშეულთა დამხმარე კომიტეტის არჩევა.

3. მოხსენების გამო გამართულ კამათში უნდა გარკვეულ იქნეს—თუ რამდენათ შეეფერება დამშეულთა თვის აღმოჩენილი დახმარება იმ ამოცანებს, რომელიც ჩამოთვლილია ამა ინსტრუქციის 1 მუხლში. რის შემდეგ უნდა შემუშავებულ იქნეს რეზოლიუცია, რომელიც დაახასიათებს დამშეულთა დახმარე ადგილობრივ კომიტეტის მოღვაწეობას და დააწესებს კრების ყველა დამსწრეთა თვის დამშეულთა მუდმივი დახმარების სავალდებულო ნორმას.

4. ანგარიშების წარდგენა.

ს) საერთო კრებების ოქმები ორი კვირის განმავლობაში უნდა წარედგინოს სათანადო სარაიონო და სამაზრო შემმოწმებელ კომისიას.

2) შემმოწმებელი კომისიები თავის რიგად გაუკეთებენ ჯამს და წარუდგენენ ანგარიშებს სამაზრო კომისიებს, ხოლო უკანასკნელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ასლს დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტს

საქ. კომპარტიის ცენტრ. კომ საagიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

მდგომარეობა მაზრებში

დეპეშები

ოზიდან

დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეს **მახარაძეს.**

რაჭის მაზრაში სიმშილობა იღებს ფართო ხასიათს. თემის აღმასკომებიდან და დამშეულთა დამხმარე კომიტეტებიდან ზოდის შემაძრწუნებელი ცნობები სიმშილობის ნიადაგზე მასიური ეპიდემიური ავადმყოფობის გაჩენის შესახებ. საჭიროა დახმარება სურსათითა და ფულით. ეს უკანასკნელი საჭიროა მაზრაში სანიტარული ზომების გასაძლიერებლად.

მეტრეველი.

ასლი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს **გეგეჭკორს.**

გადაეცით ფ. მახარაძეს, რომ მთელი რაჭის მაზრა სიმშილით სიკვდილის აჩრდილის წინაშე სდგას. იხოცებიან მამაკაცები, ქალები და ბავშვები. მაზრის სხვადასხვა კუთხეებიდან აღმასკომის შენობის წინ ყოველ დღიურად იკრიბებიან დამშეული ქალები და ბავშვები. შემაძრწუნებელია ოხვრა და ტანჯვა გაძვალტყავებული ხალხისა, რომელთაც გული უწუხდებათ ხოლმე. მრავალია გარდაცვლების შემთხვევა. აღმასკომი უძლურია რაიმე გააკეთოს, რადგანაც გამოგზავნილი სიმინდი წარმოადგენს ერთ წვეთს ზღვაში. საჭიროა საჩქაროთ ზომების მიღება.

დამშეულთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე—მეტრეველი.

საჩხერედან

საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტ. თავმჯდომარეს.

მაზრა არავითარ სურსათს არ გზავნის. მდგომარეობა სერიოზულია. მოგვეშველეთ, მოგვეწოდეთ სურსათი.

საჩხერის აღმასკომის თავმჯდომარე **კაპანაძე.**

პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი **ფუტკარაძე.**

ზუგდიდიდან

დამშეულთა დამხმარე კომიტეტ. თავმჯდომარეს.

მაზრაში შიმშილობა იზრდება. მდგომარეობა საშინელია დამშეულნი ღღე-ღამ გვაწყდება. შველა არსაიდან არის. გთხოვთ დაგვეხმოთ სასურგადასახადის სიმინდი. დაგაჩქაროთ დახმარება ცენტრიდანაც.

გოგუა.

სამხრეთ-ოსეთიდან.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს.

როგორც თქვენც თვითონ მოგეხსენებათ სამხრეთ-ოსეთს საჭიროების მიხედვით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. დღევანდლამდის ხალხს არ შეეძლია გაიმართოს წელში, 1920 წელში მენშევიკების მიერ აოხრების შემდეგ 9 დ. დი რაიონი (როკის, ჯავის, ორტევის, წუნარის, კორნისის, ბელოკის, ვანელის, კემულსტის და კუდარსის რაიონები)—სავსებით გადაბუგულია. საქონელი გარეკილია, ქონება აოხრებულა. დანარჩენ რაიონები მენშევიკების მთავრობისაგან დევნილა და ძალადობის გამო არა ნაკლებ არიან დაზარალებულნი 1921 წ. სასოფლო სამეურნეო სეზონში, ე'ე იგი საქართველოში საჭმითა ხელის უფლების დაწყარების შემდეგ, მეზობლებმა ვერ შესძლეს ცოტაოდნავად მაინც აღეფგენათ საბოლოოდ გაპარტახებული მეურნეობა ყველა ამ მიზეზების გამო. მოუსავლობამ საბოლოოდ დასცა გაძვალტყავებული და სისხლისაგან დაცლილი მოსახლეობა. თავიდანვე დაიწყო სრული სიმშილობა. დაახლოვებით ზერელე ცნობებით გადაბუგულ რაიონებში სიმშილობს მცხოვრებლების 80 პროცენტი, ხოლო დანარჩენ რაიონებში კი 50 პროცენტი. სულ საერთო რიცხვი დამშეულთა 60,000 მდეა. განსაკუთრებით შემაძრწუნებელია ინვალიდების, ქვრივების, ობლების და საერთო სოციალურ უზრუნველყოფაში დაინტერესებულ პირების მდგომარეობა. ამ რიგად მცხოვრებთა დიდი ნაწილი ხდგას სიმშილობისაგან სიკვდილის შუქარის წინაშე. და მართლაც აღნიშნულია თვითმკვლელობის შემთხვევები სიმშილობის ნიადაგზე (ორტევის და წუნარის რაიონებში). სიმშილობისაგან სიკვდილის შემთხვევა აღრიცხულია 35 მდის, თუმცა ნამდვილათ ეს უფრო ხშირად ხდება. სამხრეთ ოსეთის სიმშილობას არ შეეძლება შეეხეთოთ, როგორც გარდამავალ მოვლენას, ერთი წლის მოსავლობის შედეგს.

იგი შედეგია საერთო სამეურნეო განადგურებისა. მოუსავლობამ მხოლოდ უჩვეულოდ გაზარდა სიმშილობის საშინელებანი. ამ დროს კი სამხრეთ ოსეთს მინიმალური დახმარება ეწევა მხოლოდ—და შეეძლება ითქვას უფრო მცირეა ვინემ რესპუბლიკის სხვა რაიონებს. მაგრამ უმთავრესად საჭიროა დახმარების აღმოჩენის მეთოდებისა და საშვალებების შეცვლა. შესაძლებელია ხასიათი და საშვალებანი მცხოვრებლებთა საჭიროდ დახმარებისა აღემატება დამშეულთა დახმარე მთავარი კომიტეტის მიერ დასახულ გეგმას და შეიძლება შესაძლებელ რეალურ დახმარების რაოდენობასაც. ცენტრის ერთგვარი ამოქმედებით და ყურადღების მიპყრობით როგორც რაიონებისადმი, ისე სიმშილობით განსაკუთრებულად დაზარალებულ მხარისადმი, შესაძლებელი გახდება დამშეულთა მდგომარეობის შემსუბუქება.

ამიტომ სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასკომი ითხოვს თქვენ განკარგულებას, რათა გამოგვეგზავნოს ოცი ვაგონი ხორბალი, გაიხსნას საბავშვო სახლები და ერთი სახლიც ინვალიდებისათვის.

სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (ხელს აწერს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

ჰააგის კონფერენცია

ჰაააგ. 30 ივნისი (რუსეთის ბეჭდვითი ბიუროს კაბლოგრამა მოსკოვის საშუალებით). ევროპის დიდი პრესა თავდაჭერით უცქერის ჰაგის კონფერენციას. პრესა, როგორც სჩანს, უცდის კონფერენციის შედეგებს. მხოლოდ პარიზის ჟურნალმა (. . .) გამოუშვა საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ, აღნიშნა რა, რომ საბჭოთა რუსეთმა ბევრი მოიგო გენუაში: მან მიაღწია პრინციპიალურ ცნობას, მორატორიუმს, ინგლისის თანხმობას ვალების შემოკლებაზე, და რაც მთავარია, უზრუნველყო სპპარატიული შეთანხმებათა გზა, იმ შემთხვევაში თუ ჰაგაში მუშაობა უშედეგოდ გათავდება.

გაზ. „ჟურნალი დე დებატ“ ხაზს უსვამს, რომ ორი მხარე სცდილობენ გვერდი აუხვიონ მწვავე საკითხებს, რომელთა განხილვა აუცილებელია რუსეთის ფინანსიურ მდგომარეობის განხილვის დროს. გაზეთი ფიქრობს, რომ ევროპამ უნდა აღმოუჩინოს ფინანსიური დახმარება რუსეთის საზღვარ-გარეთელ წარმოებებს, მაგრამ არა საბჭოთა რუსეთის მთავრობას.

გავასის ჰააგინტერნიუტობინება, რომ ბელგიის მთავრობამ ლიტვინოვის ნოტის საპასუხოდ განაცხადა, რომ ბელგიის მიერ ჰაგაში დელეგაციის გაგზავნა ნიშნავს გენუის რეზოლიუციების მიღებას. მოკავშირეთა დელეგაციები დიდის ინტერესით მოელოდენ ვალების კომისიის დღევანდელ სხდომას, სადაც რუსეთის დელეგაციამ წარუდგინა მემორანდუმი რუსეთის მრეწველობის აღდგენის შესახებ.

ლიტვინოვის მიერ წარდგენილი მემორანდუმი დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი და მოახდინა კარგი შთაბეჭდილება. სესხის საერთო ჯამს მემორანდუმი განსაზღვრავს 3 მილიარდ 224 მილიონ ოქროს მანეთით. ტრანსპორტის აღდგენა მოითხოვს 1 მილიარდ 50 მილიონ მანეთს. მრეწველობის სხვა და სხვა დარგების აღდგენა—750 მილ. მიწათმოქმედება—904 მილ. მ. სამანკოსისტემის აღდგენა და მანეთის სტამილიზაცია—520 მილიონ.

ლიტვინოვს მოჰყავდა დაწვრილებითი განმარტება და ხაზი გაუსვა, რომ სესხი აუცილებელია მიეცეს უშუალოთ თვით სახელმწიფოს და რომ ნაჩვენები ციფრები არის მინიმუმი.

კომისიის თავმჯდომარემ ამეცანამ გამოსთქვა კმაყოფილება მემორანდუმის შესახებ და განაცხადა, რომ აუცილებელია დამატებითი განმარტებების მიღება. ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენელები შეეკითხენ რამდენად მიიღებს მონაწილეობას თვით რუსეთის მრეწველობის აღდგენაში, ან არგებლობენ თუ არა სესხით კერძო წარმოებები და უცხოეთის კონცესიონერები, რომელ განსაკუთრებით რაიონებში დაიწყება აღმადგენელი მუშაობა.

ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლების სიტყვების შემდეგ, გამოვიდა მკვახე სიტყვით ბელგიის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, —რომ თუ რუსეთი ითხოვს ფულს, მან უნდა წარმოადგინოს დაწვრილებითი ცნობები. ბელგიის დელეგატებმა აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია აუიელვებლად ლაპარაკი რუსეთის წინანდელ აყვავებულ მრეწველობის შესახებ, რომლის აღდგენა მოითხოვს ეხლა დიდძალ თანხას.

ლიტვინოვმა უპასუხა, რომ მას შეეძლო მიეცა ვრცელი განმარტება იმ მიზეზების შესახებ, რომელთაც მიიყვანეს რუსეთის მრეწველობა დღევანდელ მდგომარეობამდე. საკმარისია აღვნიშნოთ, განაცხადა ლიტვინოვმა, რომ ზარალი, რომელიც მიაყენა რუსეთს ინტერვენციამ უდრის 39—50 მილიარდ მანეთს.

სოკოლნიკოვი ვრცლად შეჩერდა მტკიცე ფინანსიურ მდგომარეობის საკითხზე. „ტყუილად ამბობენ, განაცხადა სოკოლნიკოვმა, რუსეთის მიერ ევროპისაგან ფულის მოოხოვნილების შესახებ. ფაქტიურად ევროპა მოითხოვს რუსეთისაგან ვალების და პროცენტების გადახდას.

ევროპამ უნდა იცოდეს, რომ რუსეთს შეძლება ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიხადოს ვალები, თუ იგი მიიღებს საჭირო კრედიტებს“.

სოკოლნიკოვის ამ სიტყვებმა გამოიწვია ახმაურება დარბაზში. ინგლისელი დელეგატი, შეეხო რა ბელგიელების გამოსვლას, მოუწოდებდა დამსწრეთ ემსჯელნათ დინჯათ და საქმიანათ და არ აყოლოდნენ გრძნობებს. ინგლისელმა დელეგატმა გამოსთქვა რა კმაყოფილება რუსეთის დელეგაციის მიერ წარმოდგენილი განმარტებებით, წაუნადადა შეიტანა დაეხურათ კრება წარმოდგენილი ინფორმაციის დეტალურად განხილვამდე.

თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა რუსეთის დელეგაციას წარმოდგენილი სათანადო და ცხადი განმარტებათა შესახებ და დახურა კრება.

— (დასაწყისი არ არის მიღებული). ლიტვინოვმა სხდომის დაწყებისას განაცხადა, რომ კონცესიების გაცემის დროს რუსეთის მთავრობას განზრახვა აქვს იხელმძღვანელოს არა უცხოელ კაპიტალისტებისა და წარმოებების არსებულ უფლებებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებით და საკუთარი აღორძინების მოსაზრებით.

თავმჯდომარე გრიმმა მშვიდათ განაცხადა, რომ უცხოელ კაპიტალისათვის სულ ერთია (გამოცოცხლება). საფრანგეთის წარმომადგენელმა მკაცრ რეპლიკაში უპასუხა, რომ რუსეთის დელეგაციას განზრახვა აქვს აღძრას კონფერენციაზე პრინციპიალური საკითხები, მაშინ ფრანგების აქ დარჩენა შეუძლებელი გახდება. ჰაგის მუშაობას მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული ხასიათი უნდა ექნეს, ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ მისი განცხადება სრულებითაც არ მოასწავებს პრინციპიალური საკითხების წამოყენებას, არამედ იგი არის მხოლოდ ინფორმაცია. რუსეთის დელეგაციას სთხოვეს წარმოედგინა ინფორმაცია საკუთრების დაბრუნების ან ჩამორთმეულ ქონებათა კომპენსაციის შესახებ. განზრახულია ინფორმაციის მოწვდენა სამ ჯგუფად, კერძო საკუთრების, უძრავი ქონების და საკუთრების სხვა გვარ ფორმების შესახებ.

ლიტვინოვის შეკითხვაზე თავმჯდომარემ განმარტა, რომ განზრახულია დაბრუნებისა ან კომპენსაციის საკითხის განხილვა (გამოცოცხლება). სასურველია წინასწარ განხილულ იქმნას საკითხი მექანიკური და მანქანების დამამზადებელ მრეწველობის შესახებ და აღნიშნოს ის, თუ რომელ წარმოებას ფიქრობს საბჭოთა მთავრობა გასცეს იჯარით ან კონცესიით. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ რუსეთის დელეგაციას სურს, მიიღოს ინფორმაცია კერძო პირთა პრეტენზიების შესახებ თანხმად აღნიშნული კლასიფიკაციისა. სახელმწიფოთა მიხედვით. თავმჯდომარე შეეკითხა მიეფუჩჩებია საკითხი და განაცხადა, რომ ასეთი ინფორმაციის შეკრება მოითხოვს დიდ დროს დაკარგვას. ლიტვინოვის დაკონებითი მოთხოვნის შემდეგ ეს წინადადება მიღებულ იქნა და კერძო საკუთრების კომისიის შემდეგ სხდომაზე მოხდება ინფორმაციათა მოსმენა. აღლად კონფერენცია შეეცდება რუსეთში კომისიის გაგზავნას, წარმოდგენილ ინფორმაციის შესამოწმებლად.

— გაზ. „ტაიმსის“ კორესპონდენტი აქვეყნებს ბრიტანეთის დელეგაციის შეხედულებას ჰაგის კონფერენციის მუშაობის ნაყოფიერად მსვლელობის შესახებ. გაზ. „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, რომ კონფერენცია ჩქარა შეუდგა ფაქტების ანალიზს კონფერენციის ნაყოფიერად დასრულების იმედი იზრდება. კერძო საკუთრების კომისიის მუშაობის შესახებ ცნობები იმედს იძლევა, რომ იმ საკითხის შესახებ, რომლის გარშემოც ყველაზე მეტი უთანხმოება იყო გენუაში, ჰაგაში მოხდება შეთანხმება. აღსანიშნავია, რომ ამ ოპტიმისტური შეხედულებამ პირველ ყოვლისა თავი იჩინა ევროპის ყველაზე უფრო ანტისაბჭოს და რეაქციონულ გაზეთებში.

ესერების პროცესი

ესერების სამეფოდრო მუშაობა

მოსკოვ ოგესტნოვის ჩვენება.

მოსკოვი. 4 ივლისი. (რადიო). 3 ივლისის სხდომაზე, პატარა დისკუსიის შემდეგ ტრიბუნალი ადგენს სამარის პერიოდის მიმდინარეობის გამოძიება დამთავრებულად ჩასთვალოს და გადავიდეს შემდეგი, არხანგელსკის, პერიოდის განხილვაზე.

პირველად ეკითხებიან მოწმე ობესონოვს, რომელიც ჩამოვიდა ვოლოგდაში 1918 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში და რომელიც შეეიდა ესერების საგუბერნიო კომიტეტში. მაშინ პარტიულ მუშაობაში ვოლოგდაში სრული გაბრწყინებება სუფევდა. კომიტეტის თავმჯდომარე მასლოვი, ავსებით ჩაება „აღორძინების კავშირში“. კომიტეტის მუშაობა შეჩერდა. საბჭოდრო მუშაობა სწარმოებდა „აღორძინების კავშირში“. ესერების პარტიული კომიტეტი მუშაობაში მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ ამასთან არც თავის წევრებს უკრძალავდა აქტიური მონაწილეობის მიღებას. სამხედრო ორგანიზაცია აწყობდა რაზმებს და აგზავნიდა მათ არხანგელსკში. ეს ორგანიზაცია ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას ვოლოგდაში, რომელიც უნდა ნიმბადარიყო არხანგელსკში დასანტის გადმოსვლის დროს. ეს გეგმა მოხსენდა ესერების პარტიის საგუბერნიო კომიტეტს, რომელიც არ უკრძალავდა რა თავის წევრებს ამგვარ მუშაობას, თვითონ არ იღებდა მონაწილეობას ამ საქმეში. სამხედრო ორგანიზაციას დიდი თანხები ჰქონდა, რომელიც მას მიღებული ჰქონდა მოკავშირეებთან. პარტიულმა კომიტეტმა დაადგინა, სამხედრო ორგანიზაციიდან პარტიულ საჭიროებისათვის, ფული არ მიეღო. სამხედრო ორგანიზაციამ შეიმუშავა არხანგელსკისაკენ მიმავალი გზის ხიდების და რკინის გზის ლიანდაგის აფეთქების გეგმა, რათა ამით ხელი შეეშალა წითელი არმიის წინსვლისათვის.

არხანგელსკს ფრონტის შექმნის შემდეგ, ვოლოგდაში ჩამოსული ჩერნოვი, კრებაზე მოუწოდებდა ამხანაგებს შეექმნათ ბლეხების შეიარაღებული რაზმები საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად.

გრალდეგულ იგნატიევის ჩვენება

ბრალდებული იგნატიევი იძლევა ჩვენებას არხანგელსკის ამბების შესახებ. პეტროგრადში მიღებული იყო „აღორძინების კავშირის“ ვოლოგდის განყოფილების მოთხოვნილება, გაეგზავნათ ვოლოგდაში კანდიდატები არხანგელსკის მთავრობისათვის. ვოლოგდაში ჩამოსულმა იგნატიევმა გამოაცხადა, რომ „აღორძინების კავშირის“ სამხედრო ორგანიზაცია განუყოფელია ესერების პარტიისაგან. არხანგელსკში იგნატიევი შეხვდა ჩაიკოვსკის, რომელიც მოკავშირეთა სარდლობასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას არხანგელსკის დესანტის გადმოსხმის თაობაზე. მოკავშირეები ყოყმანობდენ და პირველ ყოვლისა მოითხოვდენ აჯანყების დაწყებას. ჩაიკოვსკი კი წინააღმდეგს მოითხოვდა. იგნატიევი დაბრუნდა პეტროგრადში, რადგან გადაწყვეტილი იქნა სამხედრო მუშაობის ლიკვიდაცია და ყველა არსებულ ძალების ვოლოგდაში გადაგზავნა. პეტროგრადში იგნატიევმა ინახულა ლენინი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ჩრდილოეთისაკენ ძალების გაგზავნას, ვინაიდან მის ისინი ესაჭიროებოდა სამხრეთისათვის და ვოლგისათვის. ვოლოგდაში მოელოდენ მოკავშირეების ყამოსვლას არხანგელსკიდან. საგრამ ეს იმედები გაცრუვდა. „აღორძინების კავშირმა“ ვოლოგდაში გადაწყვიტა ემოქმედნა დამოუკიდებლათ და დაეწყო ხელის შებმული მუშაობა, მაგრამ ამგვარი მუშაობის ცდაც დამარცხდა. ადგილობრივი მცხოვრებლები კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ შეიარაღებული გამოსვლისა. გადაწყდა იეფოთ ზომები ერთი ერთი პოლკის გახიარალებლათვის. დაიწყო ვოლოგდაში ოფიცრების ჩხოეკა დაპატიმრება. ესერებთან სამხედრო ორგანიზაციის თათბირზე ხშირად ხდებოდა გაუგებრობა. ესერების მონაწილეობით და ინგლისის მეხის წარმომადგენელის თანადასწრებით გადაწყდა ეეროთებიათ სამხედრო მუშაობა და გადაეყვანათ ძალები ფრონტის იქითა მხარეს. ჩქარა იგნატიევი 13 ოფიცერით, საოპერაციო გასაყოფილების უფროსის თანაშემწისა და საბობიზაციო განყოფილების უფროსის თანხლებით, წამოვიდა არხანგელსკიდან.

არხანგელსკის მოკავრება.

კრილენკოს შეკითხვაზე იგნატიევი აცხადებს, რომ ვოლოგდაში უკვე დაახული იყო არხანგელსკის მთავრობის შემადგენლობა ჩაიკოვსკის, მასლოვის, სოროკინის და გუგოუსკის მონაწილეობით. ყველა თათანი, გარდა სოროკინისა, შევიდენ მთავრობაში, შემდეგ კი მთავრობაში შევიდა ლიხაჩიც და ორი კადეტი. გაუგებრობა ესერებთან წარმოიშვა სამხედრო მუშაობის ნიადაგზე. ესერები ჩაიოდენ, რომ სამხედრო მუშაობის მთელი ხელმწყვანელობა აღორძინების კავშირის ხელში იყო. მოკავშირეთა ფულები მოდიოდა კავშირის საშუალებით და რიგდებოდა მასლოვის ძალი.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია.

დამამტკიცებელნი.

ლიონი. 2 ივლისი (რადიო). ჰინდენბურგში გაგზავნილია საფრანგეთის პატრული გერმანელებსა და პოლონელებს შორის შეტაკების შესაჩერებლად. მოქმედებაში იყო ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები, რასაც შედეგად პოჰყვა 11 მოკლული და რამოდენიმე დაჭრილი.

ვერსალის „ზავი“.

ბორდო. 2 ივლისი (რადიო). პოლონეთის საზღვარზე გლიეგიჩის სამხრეთით ხდება შეტაკება გერმანელებსა და პოლონელებს შორის. ორივე ეხრიდან მიხვეული დიდია.

დამსახურების მიხედვით

ლიონი. 2 ივლისი (რადიო). პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრს სევერინგს რეიხტაგში გამოსვლის დროს პარასკევს შეხვდენ მემარცხენე დეპუტატები ყვირილით: „მკვლელი“.

პურის იძულებითი შემოტანა.

ნაუენი. 2 ივლისი (რადიო). რეიხსტაგმა მიიღო კანონი პურის იძულებითი შემოტანის შესახებ.

რაპალოს ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ნაუენი. 2 ივლისი (რადიო). **რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიამ დაამტკიცა რაპალოს ხელშეკრულება.**

სიმხეცე.

ბორდო. 2 ივლისი (რადიო). მიხელსონის პროცესზე ლეიპციგში მოწმეებათ მიუწვეულ იქნენ მონაზნები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ბრალდებული ითვისებდა თავისთვის რუს ტყვეებისთვის გაგზავნილ სურსათს და ხვრეტდა ტყვეებს გაუსამართლებლად. მიხელსონის თანაშშრომლები უყრიდენ დაბრუნულ რუს ტყვეებს პურის ნაჭრებს, და შემდეგ გარეკავდენ ხოლმე ამ ტყვეებს შოლტებით. ავადმყოფები მოკლებულნი იყვნენ დახმარებას და ბევრი კვდებოდა ცემისგან მიღებულ ჭრილობებით.

ამერიკა.

ამერიკის მონაწილეობა.

ნაუენი. 2 ივლისი (რადიო). გაზ. „დეილი მეილის“ აზრით შეერთებულ შტატების ევროპის აღდგენაში მონაწილეობა დამოკიდებულია საფრანგეთის მიერ ინგლისის თვალსაზრისის მიღებაზე. გაზეთი დაასკვნის, რომ ინგლისი მზადაა შეეკრას საფრანგეთს თავდაცვითი კავშირით, რომელიც იქნება სავალდებულო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი თავს დაესხმიან გერმანელები. გაზეთი იმედოვნებს, რომ საფრანგეთი მიიღებს მონაწილეობას ევროპის აღდგენაში.

ინგლისის ფინანსები.

ნაუენი. 2 ივლისი (რადიო). ამერიკის ყოფილმა ელჩმა ჟერარმა ნიუიორკში განაცხადა, რომ მას არ ესმის, რატომ უნდა ქონდეს ინგლისს თავის განკარგულებაში ნაღდი ფული, როდესაც მთელი ოქროს მარაგის კონტროლი არის შეერთებულ შტატების ხელში. ჟერარი მაინც დარწმუნებულია, რომ 16 წლის შემდეგ ინგლისი იქნება შეერთებული შტატების კრედიტორი.

გაფიცულთა მილიონი.

ბორდო. 2 ივლისი (რადიო). შეერთებულ შტატებში გაფიცულია 400.000 მუშა. კინის გზელი და 500.000 მაღაროში მომუშავე.

თბილისის ქალაქის მე-2 საბჭოს პირველი ყრილობა

(3 ივლისის სხდომა)

სხდომის გახსნა

საღამოს 6 საათიდან სახელმწიფო ოპერის შენობასთან იკრიბებიან ქალაქის სხვა და სხვა კუთხეებიდან საბჭოს დეპუტატები და მუშათა სხვა და სხვა ორგანიზაციების წევრები. რვის ნახევარზე სახელმწიფო ოპერის დარბაზი უკვე გაჭედილი იყო ხალხით. 7 საათსა და 40 წუთზე ქალაქ თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების პირველი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლადო დუმბაძე მეორე საბჭოს პირველ სხდომას აცხადებს გახსნილად. ამხ. ლადო დუმბაძის განცხადებას კრება ცხარე ტაშის ცემით ეგებება. ყველა ფეხზე დგება. ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს.

ბიუროს არჩევნები

ამხ. ივანოვ კავკასკი ცენტრალური საარჩევნო კომისიის სახელით აკეთებს მოხსენებას არჩევნების მსვლელობის შესახებ. იგი აცხადებს რომ პირველი საბჭოს არჩევნების დროს საბჭოთა ხელისუფლების მტრები მენშევიკებმ კიდევ იჩენდენ ერთგვარ აქტივობას და მოუწოდებდენ მუშებს ბოიკოტი გამოეცხადებიათ არჩევნებისათვის. მაშინ არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 90 პროც. მცხოვრებ წარმოებათა მუშებისა და ბოიკოტის გამომცხადებელნი ერთეულები იყვნენ.

ამის შედეგი ის იყო, რომ კომპარტიის შეხვდა 36 პროც. საბჭოს ყველა წევრისა და შეიძლება ითქვას, რომ თითქმის 100 პროც., ვინაიდან უპარტიონი გადიოდენ კომპარტიის სიით.

მიმდინარე წელს საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთათვის სურათი უფრო არა ხელ საყრელი შეიქნა. იყო საკოდავი შესაბრალისი გამოსვლა ზოგიერთ მოხალისეთა. მთავარ სახელმწიფოებში. სადაც მენშევიკების ბუდე იყო, ამ ჟამად მათი გავლენა საკმაოდ მოსპობილია.

მე-2 რაიონში გამოვიდენ ესერები, რომელნიც თავის თავს მემარჯვენეებს უწოდებენ. მათ გადაისროლეს წყლის წისქვილების მუშათა შორის ლოზუნგი საბჭოთა უპარტიობის შესახებ, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ეს მუშები ჩაბორჩენილები არიან, მათ მაინც პროლეტარული სულისკვეთებით გაიგეს, რომ ეს მათი პარტია არ არის და ამიტომაც მემარცხენე ესერებმა არჩევნებში სასტიკი მარცხი განიცადეს.

მე-2 რაიონში მუშებმა არჩევნებში ყველგან აქტიური მონაწილეობა მიიღეს. სასაკლაოზე ადგილი ქონდა რომელიღაც მთვრალი „თავადიშვილის“ გამოსვლის ცდას, რომელიც ფარული ანბანის ყრის სისტემას მოითხოვდა, მაგრამ მუშებმა იგი უბრალოდ გაავდეს კრებიდან.

მე-4 რაიონში, სადაც ძრავალი ინტელიგენციაა, მემარცხენე ესერების ცდა უპარტიო საბჭოების მოთხოვნილების შესახებ, აგრეთვე უშედეგოდ ჩატარდა.

როგორც დამახასიათებელი მოვლენა, მომხსენებელს მოყავს მენშევიკ ტროპაძის გამოსვლის შემთხვევა, რომელიც წარსულ წელს აქტიურად გამოდიოდა არჩევნების წინააღმდეგ, ხოლო ამ არჩევნებში კი ამბობდა, რომ კომუნისტებმა დაგვიმტკიცეს, რომ მათ აქვთ შრომის უნარიო. აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ მენშევიკების შორის ხდება დარღვევა პარტიისა. მენშევიკების გავლენა საკმაოდ მოსპობილია.

არჩევნების სტატისტიკა.

თავის მოხსენებაში ამხ. ივანოვ-კავკასკიმ მოიყვანა შემდეგი სტატისტიკური ცნობები არჩევნების მსვლელობისა და შედეგების შესახებ:

1 რაიონი: სულ ამომრჩეველი იყო 7.494 მოქ. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 5.994 კაცმა, ე. ი. 75,4 პროც ამორჩეულ იქნა 71 წევრი საბჭოსი, რომელთაგანაც 67 მამაკაცი და 4 ქალი. აქედან მუშა 84, ინტელიგენტი 21, გლეხი 2 მათ შორის კომუნისტია 59, კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრი 3, უპარტიო 8 და მემარცხენე სოც.-ფედ. 2.

მე 2-ე რაიონი. ამომრჩეველი იყო 11.731 კაცი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 7.892 კაცმა, ე. ი. 67 პროც, ამორჩეულ იქნა 92 წევრი. აქედან მამაკაცი 76 და ქალი 16. მათ შორის მუშა 57, ინტელიგენტი 34 და 1 გამოურკვეველი.

ამათგან კომუნისტია 78, კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრი 3, უპარტიო 9, და მემარცხენე სოც. ფედ. 2.

მე 3 ე რაიონი ამომრჩეველი იყო 7.796 კაცი, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 7.769 კაცმა, ე. ი. 88,3 პროც. ამორჩეულ იქნა 84 დეპუტატი, მათ შორის 73 მამაკაცია და 11 ქალი. მათ შორის 42 მუშა, 41 ინტელიგენტი და ერთი გლეხი. ამათგან კომუნისტია 71, კომუნისტურ ახალგაზდობის კავშირის წევრი 4, უპარტიო 8 და მემარცხენე სოციალ-ფედერალისტი 1.

მე 4 რაიონი. ამომრჩეველი იყო 28,357 კაცი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 16,131 კაცმა, ე. ი. 57 პროცენტი ამორჩეულ იქნა 129 დეპუტატი, მათ შორის 115 მამაკაცი, ხოლო 14 ქალი. ამათგან მუშაა 53, ინტელიგენტი—63, გლეხი—8 და 5 გამოურკვეველია. აქედან კომუნისტია —109, კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრი—2, უპარტიო—8 და მემარცხენე სოც. ფედ. 10.

არმია ამორჩეულია 130 დელეგატი; მათ შორის 127 მამაკაცია და 3 ქალი აქედან კომუნისტია 104, უპარტიო—22 და 7 გამოურკვეველია. უპარტიოები ყველგან გადიოდენ კომფრაქციის მიერ წარდგენილი სიით

არჩევნებში მონაწილეთა საერთო პროცენტი უდრის 73 პროც. საბჭოს 506 წევრიდან კომუნისტი არის 86,5 პროც.

საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები.

საბჭოს კომფრაქციის სახელით ამხ. კახიანი წინადადებას იძლევა საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიონ ამხ. ლადო დუმბაძე ამ წინადადებას კრება ხვდება ცხარე ტაშისცემით და ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნები.

ამხ. კახიანი კომფრაქციის სახელით აქვეყნებს აღმასრულებელ კომიტეტის 36 წევრის და 16 კანდიდატის სიას.

წევრები: 1) მახარაძე ფილიპე, 2) ორჯონიკიძე კ. 3) ოკუჯავა მ. 4) ცინცაძე კ 5) ქავთარაძე. 6) გეგეჭკორი. 7) დუმბაძე ლ. 8) კახიანი მ. 9) ჯაფარიძე. 10) კიკნაძე ნ. 11) ოდილავაძე კ. 12) წივწივაძე ი. 13) კიკნაძე გ. 14) თაქთაქიშვილი, 15) ორახელაშვილი მარიამ. 17) რუხაძე. 17) ქავთარაძე ლადო. 18) ოქუჯავა ა. 19) ივანოვ-კავკასკი ვ. 20) გოლდბაუმი. 21) თხილავა. 22) კალანდაძე ბ. 23) იტრიევი. 24) კეორქიანი. 25) მელაძე. 26) ასრიბეკოვი. 27) ალი ტაგი ზადე. 28) ხოდკოვი. 29) არეჯანოვი. 30) ჩხეიძე მ. 31) ჯორბენაძე ი. 32) მილოვი. 33) ლილოვსკი. 34) ოკუჯავა ნ. 35) ღლონტი თ. 36) ტოროტაძე ე. (უკანასკნელი 2 მემარცხენე ფედერალისტებია).

კანდიდატები: 1) ბურჯანაძე. 2) ბაქრაძე 3) ხუნდაძე, 4) მგალობლიშვილი, 5) კოჩეტკოვი, 6) ბაქრაძე, 7) გავვა, 8) არხიანდარიტოვი, 9) ბიდრიძე, 10) ეგიაზაროვი, 11) მარკაროვი, 12) ივანოვი, 13) ავენირი, 14) გოგიტაშვილი, 15) ობინაძე, 16) ჭანიშვილი.

წარმოდგენილი სია ერთხმად იქნა მიღებული.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა.

მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭო არ არის სამეურნეო ორგანიზაცია—ეს არის სახელმწიფოებრივ პოლიტიკური ორგანიზაცია, ეს არის მშრომელთა მასის ხელისუფლების გამოხატულება. საბჭოები საქართველოში წინადაც იყვენ, მაგრამ ბურჟუაზიულ ხელისუფლების დროს ისინი შეუმჩნეველი და მიჩქმალული იყო და არსებობდენ მხოლოდ იმისათვის, რომ დროგამოშვებით თვალი აეხვნათ მუშათა კლასისათვის იმ პარტიებს, რომელნიც იდგენ ხელისუფლების სათავეში. იყვენ მუშათა კლასის დიქტატურის წინააღმდეგნი და ამიტომ არ შეეძლოთ განხორციელებიათ საბჭოთა ხელისუფლების დღეა, ამავე დროს არ შეეძლოთ უარყოთ საბჭოები. საბჭოთა ხელისუფლების განხორციელება, შეუძლია მხოლოდ ჩვენ პარტიას, რომელიც თავის მიზნად ისახავს ბოლომდის განახორციელოს მუშათა კლასის სურვილები.

თუ მივმართავთ არჩევნების ისტორიას, ჩვენ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ თბილისის პროლეტარიატს ნათლად აქვს შეგნებული თავისი ინტერესები ოა მისდევს ჩვენ პარტიას.

რა თქმა უნდა, თეთრგვარდიელთა პრესაში საქმე არჩევნების შესახებ უინსინუაციათ არ გათავდება.

იტყვიან, რომ რუსეთის წითელმა არმიამ, რომელიც აქ მივიდა აირჩია თავისი თავი საბჭოში.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 80 პროცენტმა. ოა რომ უპარტიო მასის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებინებლად ფიზიკურადაც შეუძლებელი იყო გვეხმარა რაიმე ძალდატანება.

იმ პარტიებს, რომელნიც დაანან საბჭოთა პლატფორმაზე, მაგ. მემარცხენე სოც ფედერალისტებს, ჩვენ ვაძლევთ სრულ შესაძლებლობას მიიღონ მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების მტრებს ჩვენ ვუცხადებთ დაუზოგველ ბრძოლას და აშკარად ვამბობთ, რომ მათ არ დაუშვებთ საბჭოებში.

დამახასიათებელია არჩევნები 4 რაიონში, სადაც სჭარბობს ინტელიგენტური, არა მუშური ელემენტები და სხვა და სხვა დაწესებულებათა მოსამსახურენი. წმინდა მუშურ რაიონებთან შედარებით თვალში გვხვდება არჩევნებში მონაწილეთა ნაკლები პროც.

ჩვენ ვიცით სადაც არის მეგობრები და მტრები მუშათა კლასისა.

გადავდივარ რა საბჭოთა ამოცანების საკითხზე საჭიროა ადინიშნოს, რომ ჩვენ გვაქვს 6 თვის გამოცდილება პირველად მოწვეულ საბჭოში. იმის მუშაობაში იყო ნაკლულოვანება ზოგიერთი დეფექტები, მაგრამ მიუხედავად პირობების სიმძიმისა, რეაქციის და ბუნაობის გამოცდილების ნაკლებობისა, საბჭოს მიერ, მაინც ძალიან დიდი მუშაობა არის გაკეთებული.

მან შექმნა პიუჯეტი, ნავარაუდევია გეგმა და ნაწილობრივ დაიწყო ამ გეგმის განხორციელება.

თუ არ არის გაკეთებული ყველაფერი რაც საჭირო იყო, ამაში ბრალი არ უდევს თბილისის საბჭოს, ბრალი არ უდევს ხელმძღვანელ პარტიას ამის მიზეზი ნგრევის საერთო მდგომარეობა, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ.

ყოველი დეპუტატი უნდა გაეცნოს წინანდელ მუშაობას, რათა თავიდან აიშოროს მისი ნაკლულოვანება. დეპუტატები მჭიდროდ უნდა დაუკავშირდენ მასებს, რათა ყველა მათ საჭიროებათა შესახებ მოახსენონ აღმასრულებელ კომიტეტს და ამასთან ერთად გააცნონ მასებს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობა.

თბილისის საბჭო უნდა გახდეს არა მარტო თბილისის მშრომელთა ინტერესების გამომხატველი, არამედ მთელი საქართველოს მშრომელთა მასისა. თბილისის საბჭომ უნდა ჩაბას საბჭოთა აღმშენებლობაში უპარტიო მასა.

აღნიშნავს რა, რომ დღევანდელ საბჭოს შემადგენლობაში არის 48 ქალი, მშრომელთა ყველაზე უფრო დაჩაგრულ ნაწილს წარმომადგენელნი, ამბ. მახარაძე გამოსთქვამს რწმენას, რომ მომავალში ეს რიცხვი გაიზრდება.

ამხ. მახარაძის სიტყვა დაფარული იქმნა ტაშის ცემით, რის შემდეგ დამსწრეებმა ორკესტრთან ერთად შეასრულეს ინტერნაციონალი და სხდომა დაიხურა.

—

სხდომის შემდეგ საბჭოს წევრთათვის გაიმართა კონცერტი.

შაბათს 8 ივლისს, შესდგება ახლად არჩეულ აღმასრულებელ კომიტეტის პირველი სხდომა.

გერმანიის ამბები

დაპატიმრებანი

მოსკოვი. 3 ივლისი. მოხდა რამოდენიმე პირების დაპატიმრება, რომელთაც ბრალდება რატენაუს მოკვლის შეთქმულებაში მონაწილეობის მიღება.

რესპუბლიკის დაცვა

ნაუენი. 2 ივლისი. (რადიო). მომავალ სამშაბათს რეიხსტაგში წარადგენენ რესპუბლიკის დაცვის კანონს.

იარაღი, რომელთაც მოჰკლეს რატენაუ

ბორდო. 2 ივლისი (რადიო). ბერლინის პოლიციის უფროსმა იპოვნა ბერლინის ერთ-ერთ მიდამოში რევოლვერი, რომლითაც მოკლულ იქნა რატენაუ. რევოლვერში აღმოჩნდა კიდევ 4 ტყვია.

ერთი კამპანია

ბორდო. 2 ივლისი (რადიო). პრუსიის პრესა ხედავს კავშირს სტუდენტ გიუნტერის, გეოფერიხის და ლიუდენ დორფის შორის. უკანასკნელი სწერდა გიუნტერს ლოზუნგებს ფლაგისათვის.

ამერიკა-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი.

სათესი მასალა. გაგრის მაზრაში სათესი მასალის უქონლობის გამო დარჩა დაუთესავი დამუშავებული (ბოხნულ-მოფარცხული და სხვა) მიწების 50 პროც. როდესაც გაგრაში მოდიოდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი, ადგილობრივი პარტიული კომიტეტი, აღმასკომმა და სასურსათო განყოფილებამ, მიმართეს მათ თხოვნით უშუამდგომლათ გუდაუთის მაზრის განაპირა ადგილებიდან სათესი მასალის დაუყოვნებლივ მიღების შესახებ. გაგრიდან დაბრუნებისას გუდაუთში ყოფნის დროს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომ. მოაწყო გაგრის სათესი მასალით მომარაგების საქმე, რაზედაც აცნობა გაგრას პირდაპირი მავთულით.

სასწრაფო წესით წავიდა გაგრიდან გუდაუთში ხომალდი „ლენინ“ გუდაუთის მიერ გაშვებული 500 ფუთი

სული კი ელის მეტამორფოზებს

ზეცის ეტრატზე ელვისებური
ისახებიან ცეცხლის ხაზები;
ვით ალმასები დაისებური
ასხივოსნდება სულის ბაღები.

———

აორთქლილ სივრცის მოარღვევს ფრთებით
სულში ნაშობი, უცხო ფრინველი,
გული მხიარული, თილისმურ გრძნებით,
მუდმივ ძიებით სული მწირველი.

———

უცხო ფერებით გაარიჟრაჟებს
ლამის შირაჟს გასხივოსნება,
ლაღი ოცნება სულს გააკაჟებს,
გაამალხაზებს ცეცხლის მოდება.

———

მივარღვევ ქაოსს მარდი ჭენებით,
ზღაპრულ ცხენებით ჭრიან ლანდები;
სულის დარდ�sით სავსეა ვნებით
და გატაცებით—გულის ნადები. .

———

საყვარელ ქვეყნის დაახლოვება
ეუცხოება ზღვის სირინოზებს;
ყველას აოცებს გზის მიტოვება—
სული კი ელის მეტამორფოზებს.

გ—ძე.

კომუნისტური რევოლიუცია. კურსები 3 თვიანი და განზრახულია 25 კურსანტისათვის.

აღმოსავლეთ ოსმალეთში. „არმენტა“-ს კორესპოდენტი ყარსიდან შემდეგ დეპეშას იძლევა: 29 ივნისს დაბრუნდა ყარსში ოსმალეთის აღმოსავლეთ პროვინციებში მგზავრობიდან ყარსში მყოფი სომხეთის წარმომადგენელი ამხ. სარქისიანი, რომელიც იყო სარიკამიშში, ერზერუმში, ბაიბურთში, გიუმუშხანში, ტრაპიზონში, არაანში და ართვინში. თვითეულ ქალაქში ამხ. სარქისიანი ჩერდებოდა რამდენიმე დღე. ადგილობრივი მცხოვრებლების დამოკიდებულება მგზავრთან ძლიერ კარგი იყო. ერზერუმსა და ტრაპიზონს შორის დადის ავტომობილი. ვაჭრობა ერზერუმში უსიცოხლოა ფულის უქონლობის გამო. ვალიუტის ფასები მტკიცეა. პასიმის და ერზერუმის დაბლობებში ცოტაა დათესილი, მაგრამ მოსავალს კარგს ველიან. სწარმოებს მუშაობა ერზერუმ-ერზინჯანის ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გასაყვანად, სოფელ კუკურტის ახლოს ქვანახშირის დასამუშავებლად და სოფელ იახთან ნავთის ამოსაღებად, რისთვისაც მივიდენ იქ რუსეთიდან სპეციალისტები. ტრაპიზონში ამხ. სარქისიანმა ნახა 400-მდე სომეხი მცხოვრები, რომლისაგანაც 250 ობოლია, რომლებიც იმყოფებიან ამერიკის თავშესაფარში.

სამაზრო პარტიული კონფერენცია. ჯელალ-ოღლიდან იუწყებიან, რომ იქ დაიბურა სამაზრო პარტიული კონფერენცია, რომელსაც ქონდა 5 სხდომა. გამოტანილია რეზოლიუციები შემდეგ მოხსენებებზე: მიმდინარე მომენტი, სამაზრო კომიტეტის ანგარიში, პარტიული აღმშენებლობა, სასურსათო გადასახადი და თესვის კამპანია. მოხდა სამაზრო კომიტეტის არჩევნები. ჩამოვიდა 89 დელეგატი.

ეპიზოტია. ეჩმიაძინიდან იტყობინებიან, რომ ერბრაინის რაიონში მსხვლფეხა საქონელს ვაფრნდა ჭირი.

მალარია. ეჩმიაძინიდან მოსული ცნობებით, ამ უკანასკნელ დროს მალარიამ აქარანის რაიონში მიიღო ფართე ხასიათი.

ქრონიკა

სახალხო მუსიკის საღამო. ხუთშაბათს, 6 ივლისს, რკინის გზელთა თეატრ „მუშტაიდ“-ში გაიმართება ორიგინალური სახალხო მუსიკის საღამო მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდის—მიერ. წაკითხულ იქნება ლექციი—მოხსენება სახალხო მუსიკის მნიშვნელობისა შესახებ. შესრულებულ იქნება სახალხო სიმღერები პატარა სიმენებით ფანდურა—ფერხულ—ოჯაზეთ—ცეკვით. შემოსავალი მოხმარდება გუნდის ფონდს.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში.

პროცენტების გადარიცხვა სასურსათო გადასახადისაგან. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სასურსათო კომისარიატის მიერ წარდგენილი დადგენილების პროექტი ადგილობრივ აღმასკომების სასარგებლოდ სასურსათო გადასახადისაგან პროცენტების გადარიცხვის შესახებ; 10 პროცენტი უნდა გადარიცხოს სამაზრო და 5 პროცენტი სათემო საბჭოების სასარგებლოდ.

— **მიწადმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილედ** დანიშნულია ამხ. გ. ქიქოძე.

— **საღერბო გადასახადი.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით წინადადება მიეცა ყველა სამაზრო კომისარიატებს და მთავრობის დაწესებულებებს მათ მიერ აკრებილი საღერბო გადასახადი შეიტანონ ხაზინაში.

— **დახმარება სოფ. მანავის მცხოვრებლებს.** სოფ მანავის თბილისის მაზრის, წვიმისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის დასახმარებლად მიეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს 10,000,000 მანეთი.

— **სახალხო სასამართლოების განყოფილებანი.** იუსტიციის სახ. კომისარის მოხსენების შემდეგ დადგენილია გაიხსნას სახალხო სასამართლოების განყოფილებანი ხორაგოულძი, ბორჯომში, ქადალოში და ნოვოგალეევში, საგამომძიებლო უბნები ლაგოდეხში, აბაშაში და ნოვოგალეევში.

— **ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.** სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებულია დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვები: 1922 წლის განმავლობაში უფროს ნოტარიუსების ნოტარიული არხივების შტატის შენახვისა 4,521,150,000 მანეთის რაოდენობით და იუსტიციის სახალხო კომისარიატის დამსჯელ გამსწორებელ ნაწილის შესანახად 1922 წლისათვის 12,339,980,000 მანეთის რაოდენობის.

— **საფუთო გადასახადი ქ. თბილისის სახარგებლოდ.** სახალხო კომისართა საბჭომ პრინციპიალურად მოიწონა დეკრეტის პროექტი რკინის გზებზე გადასაზიდ ტვირთებიდან ქალაქ თბილისის სასარგებლოდ საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ, და მიანდო საგანგებო კომისიას, რომელიც შესდგება სახალხო კომისართა საბჭოს, თბილისის ქ. ლ. აღმასკომის და რკინის გზების წარმომადგენლებისაგან, განსაზღვრონ როგორც საფუთო გადასახადის რაოდენობა, ისე ის ვადა, რომლისთვისაც ის შემოღებულ უნდა იქნეს. სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელად დასახელებულ კომისიაში დანიშნულია ამხ. ფიცხელაური.

— **სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.** სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიღებულია დადგენილებანი სახელმწიფო გადასახადებისა და დაწესებულებიდან, საკონცესიო, საიჯარო და კერძო დაწესებულებებიდან მუშების და მოსამსახურეების დათხოვნის დროს კომპენსაციის ნორმების შესახებ, მუშა-მოსამსახურეების შვებულებათა წესების და კომუნალურ საგადასახადო კომისიების დაარსების შესახებ.

— **დეკრეტის პროექტი.** მუხის მასალაზე მონოპოლიის შემოღების შესახებ გადაეცა იუსტიციის სახალხო კომისარიატს დასკვნისათვის.

თბილისის ახალი საბჭოს დეპუტატები

პირველი რაიონიდან

მახარაძე ფილიპე, ქავთარაძე სერგო, საბაშვილი პარმენ, ზაქარაძე სტეფანე, რთველაძე გიორგი, კაჩიტკოვი იაკობი, გავვა ნოეკიმე, თაქთაქიშვილი დიმიტრი, პოპოვი ალექსი, გოლდბაუმი ა., ქავთარაძე ვლ., ნიკოლაევი, ჭანტურია ისიდორე, ფანცულაია დავით, ხუბულური დავით, ლომიძე, ორჯონიკიძე ს., ოქუაშვილი არაქელა, ჩხეიძე გიორგი, მორჩილაძე იოსები, თხილავა დომენტი, ლეფავა ნოე, გეგეშიძე ფეოდოსია, ვირაპი, ვიტუხინი სერგი, შელდიაევი დავით, ცინცაძე ვასილი, ებანოიძე ბესარიონ, ფირცხალავა ვარლამ, კალანდაძე თედორე, ლომინაშვილი თეოფანე, კალანდაძე რაბიდინ, ქიქოძე ბაგრატ, ბარსეგოვი არუსთაკ, თავდიშვილი კირილე, ჩიხრაძე ვანო, თალაკვაძე სევასტი, კობიძე ნიკოლოზ, ყიფიანი გიორგი, ოსიპოვი ლევან, კალანდაძე ერმალო, შუშკოვი პეტრე, კაკაბაძე კირილე, კალანდია ზოსიმე, სიდოროვი ბიკტორ, ნუცუბიძე ნესტორ, პაატაშვილი, ნოვრუზაშვილი ალექსანდრე, პიტერსკი ალექსანდრე, ივანოვი-კავკაზსკი, კალაძე ალექსანდრე, ბიბინეიშვილი ელენე, ჩხენკელი კონსტანტინე, მურდალაიშვილი ივანე, ატოიანი რუბენ, კოპლაშვილი ვასილი, ზასლავსკი ვლადიმერ, ბეჟანოვი გრიგოლ, გონგაძე, გასვიანი ვლადიმერ, კუზნეცოვი ალექსანდრე, ჟორჟიკაშვილი, ასლანიანი გრიგოლ, როხლინი, მირზოევი, რცხილაძე იოსები, კორჩაგინი, შაევრდოვი, ლოდობერიძე, მატკავა და ნარჩემაშვილი.

მათი კანდიდატები.

გალპხური ისაია, ფირცხალავა გიორგი, სიდოროვი, კლინსკი გაბრიელი, სოლოვიოვი მიხეილ, ბოპორიშვილი ლ., კაკაბაძე სილოვანი, ცომაია დომენტი, ბერუაშვილი, გორიაჩკო ვლადიმერ, ვეიცი სერგი, მანდრიცკი რომან, კონოვალოვი სემიონ, დარახველიძე, სულავა კირილე, ახნიეკი, ავენირი ივანე და ბერინიშვილი.

მეორე რაიონიდან.

იტრიეევ ვასილ, კეკორკიანი არტაშეს, მასხულია სეევერიანე, დანდუროვი სტეფანე, ჭელიძე ემილიანე, იერამაშვილი, ქვარაცხელია მოსე, სობონი, ფრიდონოვი ფრიდონ, არხიმანდრიტოვი კარ., დოგუნოვი ტატიანა, ნაზაროვი აღექსანდრე, ორახელაშვილი მ., ვართანოვისა, გასვიანი ლ., პოპტივზოვისა, პოგოსოვი შაევრდოვისა, ხაჩიკინი აგასი, ბადრიძე, ბოპორიშვილი სერგი, ორახელაშვილი მამია, ოდილავაძე კირილე, ნუცუბიძე გალაქტიონ, ხუნდაძე გრიგოლ, სარქისოვი, გეურქოვი, მამასახლისოვი სოფიო, ღლონტი თედორე, ტატარინოვი, ხარაბაძე, მელაშვილი, ჩოდრიშვილი მ., მგელაშვილი, კალანდაძე ბენო, პრეობრაჟენსკი, გარინი, ელიზაროვი, ფირცხელაშვილი, აკოპოვი სტეფანე, ავაქოვი არარად, ალოიანი გოგონ, ჩახანიანი ოგანეზ, ვაშაძე გალაქტიონ, მულიაშვილი ალექსანდრე, დოცკო, პირადოვი, როსტიაშვილი, ბირიუკოვი, სერგეევი მიხეილ, სტაკი, ვართანოვი ეგიაშე, მეტრეველი, კახიანი მიხეილ, სულხანოვი გრიგოლ, სერედა ივანე, ჯანიბახჩიევი ალექს., მელიქ ცატუროვისა, არეშიძე ნინო, მესხიევი, უნგიაძე, კამალოვი ლიდია, იმონაიძე, შახოვი ვალია, ლუკიანოვი, პატარაძე, ერქომაიშვილი, მიროტაძე ლევან, ერისთავი, ძაგანია მიშა, ლეპეკი, სუხიშვილი ლადო, ბარამოვიჩი, კვირკელია, მუსაელიანი, მელაძე, როსტომაშვილი, ბერაძე ვლადიმერ, გეორგაძე კალინიკე, იაშვილი, კობიძე, თოხაძე, გველესიანი, ოკუჯავა ნინო, ხარუხანოვი არსენ, მალხეევ მიხეილ, კუპაიძე, ფრანგულიანი, თარხანოვისა, ტერუნოვი, ქორიძე და გველესიანი.

მათი კანდიდატები.

ქებურია, ნაზაროვი ჰაიკ, კარიბოვი, შუტოვი, კოტლევსკი, გიგაური, პარფენკო, ტუგუჩია, ტობიძე, პირიაშვილი, ბეკეტოვი, კალიაშვილი ზაქარია, გრიკურაშვილი, აიდიხოვი, კედროვი ხიკოლოზ, მსილავა, მიკირტუმოვისა, ჯაფარიძე და გიორგობიანი.

მესამე რაიონიდან.

არიბდანოვი კონსტანტინე, შაბბუდაგოვი კონსტანტინე, კონჩაკიანი, დავიდოვი არმენაკი, მიკელოვი არტო, ადამოვი ჰაიკ. ბაბმულოვი ანტონ, გრიგორიანი ვარდუი, დარჩიევისა, ძგელაძე, ბურჯანაძე, ესაიანი ანაიდა, მახარაძე ნინო, ტერ-მარკოვი ოშნი, შახხაზაროვი გაიანე, ეგიკოვი აპოზასპი, მატევოსიანი ნიკოლოზ, ხიდკოვი ალ., ცომაია, რომანოვისა, მაკაროვი, ვადაპკორია, ადამოვი ხორენ, გულულოვი, კშიმოვსკი, ოკუჯავა მ., ტოროშელიძე მ., ცომაია ივანე, არაქელოვი მარკოზი, ნადირაშვილი, მიასნიკოვი, ჯორბენაძე, ბოკერია, ფირალოვი, მგალობლიშვილი, მაგალდაძე, ჟურდაძე, ბარამიძე, აგაბაბოვი, გრიშაკოვი, ნოვრუზოვი, მდივანი ბუდუ, ასრიბეკოვი ერვანდ, საკოვი სედრაკ, ფხაკაძე ლადო, ეგიაზაროვი გერ., გარიბდანოვი ე., ქიქოძე, მელიქოვისა, გარარგალაჯიევისა, მაქსიმოვი, მარტიროსოვი არ., ყურულოვი ტ., პიტოევი, აგაჯანოვი არტ., გარიბჯამოვი გ., უნანოვი ოვ., გუსეინ ალავერდოვი, ბოლქვაძე ლადო, მარკოსოვი მ., ბაგიროვი ნ., კაციტაძე პ., მაშკევიჩი მ., გაჯიბეკოვი ი., მირზა-დავუდ-რასულ-ზადე, ნარიმანოვი ნ., რუბენი, მორჩილაძე, ალი-ტაგი-ზადე, ისრაელოვი სერგი, ტეიმურ ალიევი, ალეკპერ იუსუფოვი, ოქოევი იაკობი, თუმანოვი სანდრო, მამედ-ალი-ზადე, ვართაპეტოვი არ., სოლოვიანი არ., კალანთაროვი ნ., გრიგორიანი არშაკ, მარტიროსოვი ალ., ატაბეკოვი ა., გასან ზადრი, მირზა-რიზა-ზადე და აშიმ-აშიმოვი.

მათი კანდიდატები.

ბერუაშვილი, ქართველიშვილი და გრიგორიანი ნ.

(შემდეგი იქნება)

საქართველოს რკინის-გზის

მუშათა არტელი „კომუნა“

არტელი თავის თავად მეტად სიმპატიური დაწესებულებაა. საქართველოს რკინის გზებზე ისეთი არტელის შედგენა, როგორიც არის მშრომელთა არტელი „კომუნა“, ადვილი საქმე არ არის. ასეთი არტელის შექმნა არის შეგნებული ნაბიჯის გადადგმა გაერთიანებულ შრომისკენ. მშრომელი ხალხი საერთოდ შრომობს და შრომის ნაყოფსაც თანაბრად ინაწილებს. ამ გზით შეიძლება რამდენიმეთ მშრომელმა ხალხმა თავის შრომის ნაყოფით ისარგებლოს და ჩარჩ ვაჭრების და „ჰოდრიჩიკების“ ხელში არ ჩავარდეს. საქართველოს რკინის გზებზე გაერთიანებული მთლიანი მუშათა არტელი ამ მიზნით არის აღორძინებული. მის შექმნაში დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვით ტფილისის საქონლის სადგურის მოწინავე ამხანაგებს, ამხ. კობიძის ხელმძღვანელობით. მართალია ამათ ეს დიდი საქმე მოაგვარეს, მაგრამ ახლა კითხვა იმაშია, რომ მისი გონიერი საერთო შრომა, მისი მთლიანობა და მოქმედება შეეინარჩუნოთ, გავაფართოვოდ და სანიმუშო გავხადოთ. ნათქვამია: დიდ ნაყოფს დიდი დრო უნდაო, მაშ დიდი საქმეც დიდ ცოდნას და დიდ გამჭრიახობას საჭიროებს, ამასვე მოითხოვს ასეთი მთლიანი და დიდი არტელი, როგორიც არის რკინის გზის გაერთიანებული არტელი „კომუნა“.

რომ შეეძლოთ ახლანდელი არტელის მოქმედება, მისი შრომა და საერთო პასუხისმგებლობა—წინანდელ „მოიჯარადრის“ მუშაობას, როდესაც არტელის ადგილი ეჭირათ ჩარჩებს, აი რა სურათი წარმოგვიდგება თვალწინ: წინად, როგორც ზოგიერთ უსინდისო მოხელეები ისეც კერძო მუშები და კომისიონერები გამგზავნს და მიმცემს ტყავს აძრობდნენ, აშკარად სძარცვავდნენ. ეს არ ეყოფოდა, გაგზავნილ ბარგს თუ ფთილი ანად არა, ნაწილს მაინც მოაკლებდნენ. გაგზავნილი საქონელი ვერ აღწევდა თავის პატრონამდი, ხშირი იყო სადაო საქმე მან სასამართლოში და ერთის წლის შემდეგ ერთი მესამედიც რომ მიეღოთ, ისიც დიდი საქმე იქნებოდა.

ეხლა კი, როდესაც მთელი ეს ოპერაცია გადმოვიდა ერთ მთლიან მუშათა არტელზე, მისი ყოველი წევრი სასტიკად ადევნებს თვალყურს, რომ არც გამგზავნს და არც მიმღებს ერთი ნემსის ოდენაც არა დაეკარგოს.

არტელის მიზანია ყველა გამგზავნი და მიმღები უზრუნველ იყვნენ. ამასთანავე არტელი ადევნებს თვალყურს, რომ არც გამგზავნს, არც მიმღებს და არც სახალხო მატარებლებზე ბარგის ჩამბარებლებს არ გადახდეს იმაზე მეტი, რაც დაწესებულია კანონიერ ნიხრით და რკინის გზასთან ხელშეკრულებით, რომელიც გამოკრულია ყველა სადგურებზე.

გადავხედოთ ეხლა რკინის გზის სამმართველოს თუ რა ვაგლახი მდგომარეობა იყო მაშინ, როცა მთელ რკინის გზის დატვირთვა და გადმოტვირთვა კერძო მოიჯარადრეებზე ჰქონდა გადაცემული, ან „ოჯახურად“ თითონ აწარმოებდა. ის დამშვიდებულია ეხლა, როდესაც ასეთ სიმპატიურ მთლიან არტელთან აქვს საქმე მაშინ ყოველ სადგურებზე, სადაც საქონლის და ბარგის მიღება და გაცემა სწარმოებდა, რამდენიმე კანტორის მოხელე იყო დანიშნული განსაკუთრებით იმისთვის, რომ დაკარგულ და მოპარულ საქონლის საპრეტენზიო ოქმები ეწერა, დანიშნული იყო რამდენიმე მილიციელი, რომელიც ამ საპრეტენზიო ოქმებს ამოწმებდა, დანიშნული იყვნენ აგრეთვე დაკარგულ ბარგ-საქონლის მძებნელი აგენტები, იხარჯებოდა აუარებელი ფული მათ ჯანმრთელობაზე, შრომაზე და ქალაქდზე, მაგრამ ეს მაინც სასურველ მიზანს ვერ აღწევდა. საქონლის დაკარგვა არ ისპობოდა, დღეს კი, როდესაც ყველა ეს ოპერაცია ერთ მთლიან პასუხისმგებელ არტელზე გადმოვიდა, აღარც არავის არაფერი ეკარგება და კიდევაც რომ დაიკარგოს, სამმართველო პასუხს არ აგებს.

აშნაირად მარტო რკინის გზის სამმართველოს სარგებლობაზე რომ ვილაპარაკოთ წინანდელ ხარჯებთან შედარებით ის რამდენიმე მილიარდ მანეთს უდრის. ამგვარად, რა მხრივაც არ უნდა მივუდგეთ რკინის გზის გაერთიანებულ მშრომელთა არტელის მოქმედებას და მის ნაყოფიერებას, ის როგორც პოლიტიკურად, ეს ზნეობრივად სრულს თავის მდგომარეობის სიმაღლეზე სდგას.

არტელი თავის დაკოდუებულ ხელების შრომით საჭიროებისა და შეძლებისდაგვარად მხარს უჭერს აგრეთვე საქველმოქმედო დაწესებულებებს და მით საქართველოს ეკონომიურად აღორძინების საქმეს; არტელის არსებობის ოთხ თვეში მისი დახმარება გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე იმ დაწესებულებათა, რომლებიც ოთხი და ხუთი წელი არსებობენ. აი ამის უტყუარი საბუთებიც: დამშეულთა სასარგებლოთ არტელმა შესწირა 150 მილიონი, ერკეთის საზოგადოების (გურია) სახალხო სახლის ასაშენებლად 40 მილიონი, ნაგომარის სასწავლებლის მოსაწყობად ათი მილიონი; სოფელ ციხის სასწავლებლისთვის წყლის გამოსაყვანად—ათი მილ.; ოზურგეთის რკ. გზის გაყვანის ისეთ გულმხურვალედ მიეგება, რომ ვერც ერთი დაწესებულება, ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ შეძლებდა მას, რაც არტელმა იკისრა როგორც ფულით ისე შრომით. ამისათვის არტელმა მიიღო თავის თავზე ყოველ გვარ მასალის, ინვენტარის, ინსტრუმენტების, პროდუქტების და სხვა ნივთების, როგორც უფასოდ ნატანებში გადმოტვირთვა, აგრეთვე გზებში მთელ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტვირთების გადაზიდვის დროს დაზიანებულ ვაგონებიდან სხვა ვაგონებში გადმოტვირთვა. ყველა ამის გარდა არტელმა ნაღდ ფულად შესწირა **ხუთასი მილიონი მანეთი.** მაშასადამე ისეთ არტელს, რომელიც ასე გულმხურვალედ ეგებება რკინის გზას გაყვანას გურიაში დიდი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო გურიისთვის, არამედ მთელ საქართველოსთვის და დაბოლოს თვით საბჭოთა ფედერაციისთვისაც.

ასეთ გაერთიანებულ არტელს, რომელიც თავის საკუთარ შრომით ცდილობს საქართველოს შერყეულ ეკონომიური მდგომარეობის გაჯანსაღებაში თავისი წვლილი შეიტანოს გულწრფელად, უპირველეს ყოვლისა თვით რკინის გზის სამმართველომ უნდა გაუწიოს ყოველმხრივი დახმარება. საჭიროა აგრეთვე თანაგრძნობა ყველა პარტიულ და კერძო დაწესებულებისგან და ორგანიზაციისგან, პროფკავშირებისგან, რომ ასეთმა სიმპატიურმა და შრომის არტელმა უდეფიკოთ, ნაყოფიერად იარსებოს და იმოქმედოს საქართველოს რკინის გზებზე.

ჩარხიშვილი.

მუშათა ცხოვრება

ორიოდე სიტყვა გეჯდვითი მუშათა სახლზე.

(განოვის ქ. № 19).

მუშათა სახლების შექმნა დიდებული საქმეა.

კერძო მესაკუთრეების სახლები ისეთი გეგმით არის აგებული, რომ ჩვენთვის (მუშებისათვის) ერთობ დიდ უხერხულობას იწვევს.

მოგეხსენებათ, გაფარფაშებული ზოგიერთი მცხოვრებნი უზომო ფართო ადგილს იკავებდნენ.

რომ მეტი არა ვთქვათ და არ გავაზვიადოთ, ძაღლებს და კატებს ხშირათ ეთმობოდათ მყუდრო და ლამაზი ბინა.

იყო ამისი ცოცხალი მაგალითები ჩემს მოკლე მახსოვრობაში თვით ლარიბ ქუთაისშიდაც.

ამის შემდეგ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა ამ მხრივ საქმე დიდ ქალაქებში.

ეს ახალი აღმოჩენა არ არის და ამაზე თავს არ მოგაწყენთ.

მუშათა კლასი და მისი პატიოსანი ოჯახები პირდაპირ ფიზიკურად გადაშენების გზაზე იყვნენ დამდგარნი. ვისაც კი არ დავიწყებია, ის დამეთანხმება, თუ რა იყო ამ ხხრივ რევოლიუციამდი.

მარტო მთაწმინდის რაიონებში ხშირად ნახავდით დაყვითლებულ და დაავადებულ დედაკაცებს და მის საყვარელ მცირე წლოვან ბავშვებს.

დღეს ასეთ მდგომარეობას ბოლო ეღება.

აგერ ექვსი თუ შვიდი თვეა მე ვსცხოვრობ, როგორც ბეჭდვითი წარმოების ერთი მუშა, ბეჭდვ. წარმ. მუშათა სახლში, (№ 19, განდ. ქ.).

განცვიფრებაში ვარ, როცა მუშების ოჯახების ცხოვრების კულტურულ უნარიანობას ვხედავ.

ყველგან, გარეთ თუ შიგნით, სრული სისუფთავეა დაცული. სრული წესრიგიანი მეზობლური ურთიერთობაა დამყარებული, შრომისადმი სიყვარული და პატივისცემა მოსჩანს თვითეულ იქ მცხოვრებთა ოჯახის წევრებში.

ახლა შეეხეოდოთ სახლის მეთვალყურე მოწინავე პროფესიონალურ მუშებს. (როგორც „დომკომი“ 3 წევრი სარევ. კომ. 2 წ., კულტ.-მუშაკი 3 წ), - მე შემიძლია თამამად, როგორც ერთმა ხსენებულ სახლში მცხოვრებმა, ვსთქვა შემდეგი: განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის (ხხოლოდ ჩემი ექვსი თვის იქ ყოფნის დროს) ამხ. ხარაზიანს, წურინოვს, ვართანოვს და, შეიძლება სთქვას კაცმა, ამხ. ინოზემცევსაც.

მართალია, დასაწყისი მუშაობისა კიდევ სხვას ეკუთნის, მაგრამ, ვინაიდან მე არ ვიცი, ამისათვის თავს ვიკავებ მათ შესახებ.

მხოლოდ მაქვს ერთი პატარა, საყვედურიც.

თქვენ წარმოიდგინეთ, მუშების ოჯახები ამ სახლს ტაძრათ თვლიან, რომლისთვისაც მრავალი სისხლია დაქცეული წარსულ თავდადებულ მებრძოლთაგან, რათა მათ ეხლანდელ მათი მოძმეები ძველი დუხჭირი ბინის პირობებისაგან. ერთი შეხედვით თქვენ გეგონებათ ბინის ფინჯრები მათი (მუშებისათვის თავდადებულების) დროშა არის გადმოფრიალებულიო!.. ისე მორიდებით და პატივისცემით ეპყრობიან ყოველივეს.

მაგრამ....

აქ გარდა სუშეპისა სხვებიც სცხოვრობენ,—რომელნიც ხშირად მეორე სართულიდან ხან მტვერს დაგვაყრიან თავზე, ხანაც წყალს გადმოგვასხამენ. ყველაფერი ყველას რიგზე აქვს დათმობილი, წყალი, სანათი, სამზარეულო, ეგერ-აგერ ვანაც, ქანდარაც უხერხდებათ, და რა არის აღნიშნულ საქციელის მიზეზი თუ არა სიზარმაცე, არ ვიცი?!

თუ აღმოჩნდება ხსენებულ სახლში თავისუფალი ოთახი, ვფიქრობ, მოურიდებლად უნდა გატარდეს ჩამორთმევა. ექვსი თვე სრულდება (ტროფკავშირის საყურადღებოთ ვაცხადებ) ვცხოვრობ „კლადოვკაში“, რომელსაც 2 ნახ. ალაბი სიგანე და 5 ალაბი სიგრძე აქვს. როგორც ზოგიერთებს—არც მე მაქვს საშუალება, მერწმუნეთ, დავიქირავო საკმე სახლი, თორემ არ დავიშურებდი. ხსენებულ ოთახში ამ ჟამად ვსცხოვრობთ 3 სული. ჩემს გვერდით ერთი მუშაც ასეთივე მდგომარეობაშია.

დონ—ლანი.

ტრამვაის ცენტრალური ელექტროენის სადგური.

ამ სადგურში იმყოფება სამი დარაჯი, რომლებიც ასრულებენ თავიანთ ნოვალოვნობას რიგ რიგობით, ბაგრამ ერთმა მათგანმა ბოლოს ნახევარი წლის წინეთ აირჩია უფრო იოლი და მისთვის გამოსადეგი, ნაშვალამეგის მორიგეობა. მოვა თუ არა, წამოწვება და სძინავს დილამდი ის არც კი გრძნობს თავის თავს ამ სადგურის დარაჯათ. გათენებისას ჩვეულებრივ დაიბანს პირს და მიდის. მაგრამ თურმე სად მიდის! ასეთი იოლი სახსახური სხვა დაწესებულებაშიც ქონია და ღლითი კი იქ ასრულებს თავის მოვალეობას. იმ დროს როდესაც ჩვენი ბევრი ამხანაგები უალაგოთ არიან დარჩენილი. ასეთ საქციელს ტრამვაის ადგილკომა ან და შრომის დამცველმა კომისიამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება რომ ასეთი არა სასურველი მოვლენები არ ხდებოდეს და მუშამ იცოდეს თავის ერთი სამუშაო ადგილი.

ავტომატი.

გოლო უნდა მოეღოს

ზოგიერთი წარმოების ადმინისტრაცია გაზეთებში დაბეჭდილ მუშათა წერილებს ვერ ეხმაურება სათანადოთ. ნაცვლათ იმისა, რომ ბუშის სამართლიან შენიშვნებს ანგარიში გაუწიოს და მის მიერ ნაჩვენები დეფექტები გაასწოროს, მართავს კომპანიას კორესპონდენტ მუშის წინააღმდეგ, თხზავს ჭორებს, სასაცილოთ არ ყოფნის მისი შენიშვნები და ზოგჯერაც რეპრესიულ ზომებს ღებულობს დამწერის წინააღმდეგ. ეს ყოველად მიუტევებელი და შეუწყნარებელია. მუშურ გლეხურ ხელისუფლების პირობებში ამას ადგილი არ უნდა ექნეს. ამ მხრივ უმაღლეს საკავშირო თუ ხელისუფლების ორგანოსაგან უნდა მიეცეს სახელმძღვანელო დირექტივები ყოველ დაწესებულებას და წარმოებას. მეტი ყურადღება და მეტი ანგარიშის გაწევა მშრომელთა ხმას. მათდამი ჩინოვნიკურ დამოკიდებულებას ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო.

მუშა კორესპონდენტი.

მოზარდ მუშეგის ცხოვრება

30 ივნისს ტრამვაის მუშათა კლუბში, მიხაილოვის ქუჩაზე ყოფილ ტივოლის შენობაში შესდგა მე-2 რაიონში (სადგური, არსენალი, მიხაილოვის ქუჩა და სხვა) არსებულ სახელმწიფო და კერძო წარმოება—დაწესებულებებში მომუშავე მცირე წლოვანთა კრება. კრებაზე გააკეთა მოხსენება შრომის ინსპექტორმა შრომის დაცვის შესახებ. მოხსენებამ ბავშვები ძალიან დაინტერესა. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა—გაცვლა-გამოცვლა. კამათში ცხოველი მონაწილეობა მიიღეს მოზარდებმა. მათ პირველათ ეშინოდათ ლაპარაკის და გამოსვლას ვერ ბედავდენ. ერთმანეთის შეთამამები შემდეგ გამოვიდნენ და ადგილებზე მუშაობის საშინელი სურათები დახატეს. აღმოჩნდა, რომ იმათ ძალიან მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა. ისინი დღემდი ამაზე ხმას არ იღებდენ, ეშინოდათ ვაი თუ შემამოკლონო. როგორც სჩანს, წარმოების მეპატრონეთ ამ მხრივ მოზარდეების მიმართ რეპრესიული ზომები მიეღოთ და შტატში შემოკლებით დაბუქრებიათ. სასუფველია შრომის დაცვის განყოფილება ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას მიაქცევდეს და თავგასულ მწარმოებელთა ბოქმედებას დროით ალაგმავდეს. კერძოთ მოზარდთა შორის უნდა გაწეულ იქნას ენერგიული მუშაობა მათი საერთო პროფმოძრაობაში ჩასამბელათ და სათანადო ორგანიზაციებში გასაერთიანებლათ.

დამწერ.

პასუხათ „უმუშევარს“

(იხ. „კომუნისტი“ 1 ივლისიდან)

ამხანაგო, თქვენ გვაძლევთ კითხვას და არ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა სავსებით დაგაკმაყოფილოთ პასუხით. სრულიად გასაგებია თქვენი პროტესტი იმის შესახებ, რომ აქამდის არ მიგიღიათ სამუშაო, მაგრამ ამაში შრომის ბირჟა დამნაშავეთ არ უნდა ჩაითვალოს.

უმუშევრებს ეძლევათ სამუშაო როდესაც არის ამის მოთხოვნილება. მაშასადამე, უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ მოთხოვნილება მოდიოდეს უფრო ხშირად და ადგილი არ ჰქონდეს მუშების მიღებას შრომის ბირჟის გარეშე. ამ საკითხში შრომის ბირჟას უნდა დაეხმაროს მუშური ორგანიზაციები (პარტიული, პროფესიონალური, უმუშევრებისაგან და სხვ.) პრინციპიალურად უკვე გადაწყვეტილია, რომ შრომის ბირჟის საკონტროლო აპარატს უნდა დაეხმაროს უმუშევრებისაგან შემდგარი კომისიები, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ ეს საკითხი არ იყო გატარებული ცხოვრებაში, ვინაიდან ირჩევა საერთოდ საკითხი საკონტროლო აპარატის შესახებ. ამიტომაც მოხდა ის, რომ იმ ჯგუფს, რომელზედაც ლაპარაკობთ თქვენ, ჯერ არ მიუღიათ პასუხი, მაგრამ დაკმაყოფილებული იქნება ახლო მომავალში.

დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენგან ყოველთვის მიიღებთ ამხანაგურ დახმარებას, ვინაიდან შრომის ბირჟა და უმუშევრები წარმოადგენენ მთლიან ერთეულს.

ლ. ბაბალოვი.

ნათესების მდგომარეობა ჩვენში

(ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებიდან)

ქუთაისის მაზრა

ქუთაისის სამაზრო სტატიკურო დამუშავებულ ანკეტების მიხედვით ძლივა შემდეგ ცნობებს თავის მაზრის შესახებ.

მიმდინარე გაზაფხულზე, კლიმატიური პირობები სა. სამ. კულტურებს ზრდა განვითარებისათვის უნდა ჩაითვალოს საერთოდ დამაკმაყოფილებლად.

ამინდი იდგა თბილი ან ზომიერი, ატმოსფერის ნალექები მოდიოდა საკმარისად. მარტში, აპრილში და მაისში ყოველ თვე მაზრის სხვა და სხვა ადგილებში აღნუსხულია ათამდის წვიმიანი დღე. ამინდის ცუდი პირობებიდან უნდა აღინიშნოს ნისლი, რამაც ხელი შეუშალა ვაზზე სოკის ავადმყოფობების გაჩენას. ქარი მაზრაში ჰქონდა გრილი და წყნარი. სეტყვა და ყინვა მაზრაში გაზაფხულის განმავლობაში არ იყო.

თესვის კამპანია. თითქმის ყველგან დაიწყო თავის დროზე, მხოლოდ ზოგიერთ ადგილას დაგვიანდა; თესვის პერიოდში თესლის უქონლობისა, საქონლის და მუშა ხელის ნაკლებობის გამო. საგრძნობი იყო აგრეთვე სამეურნეო იარაღის სიძველე და უქონლობა.

მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს არა ჰქონდა საკუთარი თესლი და იძულებული იყო ეყიდნა სხვაგან, ზოგს კი დაებმარა მთავრობა. მიუხედავათ მძიმე ეკონომიური პირობებისა, მაზრის გლეხებმა გამოიჩინეს მაქსიმუმი ენერგიისა და დასთესეს თითქმის 30 პროც. მეტი სიერცე ვინემ წარსულ.

პირველ ივნისისათვის 5-ი ბალიანი სისტემის მიხედვით ეკმთავრესი ხორბლეული შემდეგ მდგომარეობაში იყვნენ: ლიანდაგ 3, (საშუალო) ღომი—3, (საშუალო) ქერი—3, (საშუალო) პური—3,4 (საშუალო).

ვენახებმა გამოიზამთრეს კარგად. მევენახეები მეშეობას შეუდგნენ თავის დროზე, ვაზის აყვავება ყველგან დაიწყო თავის დროზე. ამინდი უმეტეს ზემოხსენებაში ვენახებს საფრეს იყო საშუალო. ვენახებზე ეუდათ იმოქმედა ნისლიანმა დღეებმა, რის გამოც უკვე ითქვა ხელი შეუშალა ვაზზე სოკოების გაჩენას.

(ოდიუმის.)

ამ ავადმყოფობამ საგრძნობლად დაუზარალა ვენახები ოკრიბის რაიონში, აჯარის მთის კალთებზე და ხვამლინის სისტემაზე. მევენახეები ენერგიულად აწარმოებენ ბრძოლას

ცენტრალურმა კომისიამ მოაწყო თესლების შესყიდვა შედარებით უფრო კარგ მოსავლიან მაზრებში (გორისა და სიღნაღის) და ამ თესლის გაგზავნა იმ მაზრებში, რომელნიც საჭიროებდენ მას.

თესვის სამაზრო კომისიები, თესლის შესყიდვის გარდა, ძლიერ უწყობდენ ხელს გლეხებს შორის ერთი მეორისათვის თესლის სესხებას, ვინაც კი ამის შეაძლებლობა ქონდა და მათ თესვის კომისიები აძლევდა გარანტიის იმისას, რომ ეს გასესხებული რაოდენობა მათ უკანვე დაუბრუნებოდათ. ამ საშვალებით დათესილ იქნა ბნიშნელოვანი რიცხვი ადგილებისა.

თესვის კომიტეტებმა შეიძინეს და დურაგეს მცხოვრებლებს 63,185 ფუთი გაზაფხულის პური, უმთავრესად სიმინდი, რომელთაც დათესილი იქნა 20 844 დესიატინა მიწა, ხოლო სულ მთლად თესვის კომიტეტების დახმარებით რესპუბლიკაში დათესილ იქნა—78 877 5 დესიატინა.

კამპანია დასრულებულ იქნა 1 ივლისისათვის.

1921 წ. შემოდგომის თესვის კამპანია.

განვლილ გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს დაუთესავი მიწების რაოდენობა შემცირდა მინიმუმამდე 5,2 პროც.—1920 წლის დათესილ მიწების რაოდენობასთან შედარებით. თა რესპუბლიკაში დაარსდა დაბრუნების ვალდებულებით სათესი ფონდი—66318,5 ფუთი სხვა და სხვა გაზაფხულის პურის თესლისა, ქართოფილისა და სხვ. მაგრამ, მოუსლოდნელათ მთელ რესპუბლიკაში დაიწყო გვალვები, ხოლო შემოდგომაზე კი გაუწყვეტელი წვიმები და სხვა გვარი უამინდობა, ყოველივე ამან საგრძნ შემცირა მოსავლის რაოდენობა, ხოლო ზოგიერთ რაიონებში კი მოსავალი საერთოდ დაიკარგა და რესპუბლიკას თავს და ტყვდა სოცარი უბედურება—მოუსავლობა მთელი თავისი შედეგებით; და ამიტომ 24 აგვისტს მთავრობამ დაავალა ვ. ლენინ დასტოვოს თესვის ცენტრალური სამაზრო კომისიები. რესპუბლიკის ყველა მიწების დასათესად გამოითხოვილ იქნა 9 მილიარდი მანეთი, ხოლო ფაქტიურად კი მიღებული იქნა 1.821.000.000 მანეთი, რომლიდანაც 1 მილიარდი მანეთი სახალხო სასურსათო კომისარიატმა დამზადა 8.100 ფუთა ხორბალი, ხოლო დანარჩენი—821 მილიონი მანეთი დაეჭირა ოპერაციულ ხარჯებს, თესვის სამაზრო კომისიებს და მათ ჯამგირებს 1921 წ. 1 აგვისტოდან, 1922 წლის 1 ივნისამდე თესვის ამ კამპანიის მუშაობის პირობებში ძალიან მსუქნე იყო, როგორც ფულის უქონლობის, ისე მთელი რიგი სხვა-გვარი მიზეზების გამო.

1922 წლის გაზაფხულის თესვის კამპანია.

მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში თესვის ცენტრალურ კომისიას მოუვიდა სამაზრო კომისიებიდან მოთხოვნილება 430,000 ფუთი გაზაფხულის კულტურის თესლისა, განსაკუთრებით სიმინდის, ხორბლის ქერის და სხვა. სათესლე მასალის საერთო მოთხოვნილება მთელი რესპუბლიკისათვის უდრიდა 2.000 000 ფუთს.

გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს თესვის ცენტრალურმა კომისიამ შეიძინა და გაანაწილა მაზრებს შორის 100,000 ფუთი ავსტრალიური ხორბალი, 98,510 ფუთი რუმინიული სიმინდი და 58,600 ფუთი ამერიკული სიმინდი, სულ 257,110 ფუთი სათესი მასალა (ე. ი. 10 პროც. მოთხოვნილებისა).

როგორი პირი უჩანს მოსავალს.

თესვის ცენტრალური კომისიის ცნობების მ ხ დვით, აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ზამთრის, ისე გაზაფხულის პურის მოსავალს კარგი პირი უჩანს. დასავლეთ საქართველოს მაზრებში მდგომარეობა ცოტათი უფრო ნაკლებია, რადგანაც დათესვის დროსა და სიმინდის ამოსვლის პირველ პერიოდში გვალვა იყო და უწვიმობის გამო ზოგიერთ მაზრებში გამოჩნდა ბევრი მაგნებელი ნათესისა: სიმინდის მავნე მწერები (სენაკისა და ოზურგეთის მაზრაში), მინდვრის თაგვი (ქუთაისის მაზრაში) და სხვა, რომელთაც საგრძნობელი ზარალი უკვე მიაყენეს ნათესებს, მაგალითად სენაკის მაზრაში განადგურებულია დაახლოებით 1500 დესიატინა დათესილი სიმინდისა.

სათესი ფონდის ორგანიზაცია.

ყველა ამ სამი თესვის კამპანიის დროს თესვის ცენტრალურმა კომისიამ გაანაწილა მცხოვრებლებში 397318,5 ფუთი სათესი მასალა, ხოლო თუ ამას დაუმატებთ სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან მიღებულ 100,000 ფუთს, რომელიც აგრეთვე დარიგდა მცხოვრებლებს შორის—სულ გამოვა 407318,5 ფუთი.

ეს ხორბალი საჭიროა აუცილებლად იქნეს შეკრებილი, რაცა შევქმნათ რესპუბლიკაში მუდმივი სათესი ფონდი, რომელიც უნდა დარჩეს მი წათმოქმედების სახალხო სასურსათო კომისარიატის განკარგულებაში თესვის საჭიროებისათვის მთელ რესპუბლიკაში და ეს ფონდი ყოველწლიურად უნდა ახლდებოდეს, გადარჩენათა და გაწმენდით.

ამ მოსაზრებით მოსმენით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა.

ინგლის-რუსეთის კოოპერატიული ამხანაგობა

(ბათუმის კორესპონდენტისაგან)

პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს „ინგლის რუსეთის კოოპერატიულ ამხანაგობის“ წარმომადგენელმა საქართველოში ლ. ა. გლეიზერმა განაცხადა შემდეგი:

ინგლის-რუსეთის კოოპერატიული ამხანაგობა, რომლის მმართველობის სათავეში სდგას კრასინი, იმყოფება ლონდონში. ინგლის-რუსეთის კოოპერატიული ამხანაგობა არის ერთადერთი კონტრაგენტი საბჭოთა რუსეთის საგარეო დელეგაციისა ლონდონში.

ინგლის-რუსეთის კოოპერატიული ამხანაგობა თავის წარმომადგენლობის საშუალებით, ლონდონში, ნიუ იორკში, პარიზში, ბერლინში, კონსტანტინოპოლში ასახდეს საბჭოთა რესპუბლიკების მიერ გაგზავნილ ნედლ მასალას მსოფლიო ბაზარზე და მთავრობის დაწესებულებათა, კოოპერატიულ კავშირების და ტრესტების მონდომებლობით ყიდულობს საჭირო საქონელს. 1921 ინლის რუსეთის კოოპერატიულ ამხანაგობის მიერ შეძენილია და გაგზავნილი რუსეთში 54.000.000 ოსმალ ლირის საქონელი.

ინგლის-რუსეთის კოოპერატიულ ამხანაგობის წარმომადგენლობის საქართველოში დანიშვნა ემსახურება შემდეგ მიზნებს: დაწესებულებათათვის საჭირო საქონლის მოწოდება, საზღვარგარეთის ბაზრის საქონლის დაახლოვება მოხმარების ბაზართან და საექსპორტო ნედლი მასალის ჩქარი რეალიზაცია უცხოეთის ბაზარზე—ინგლის-რუსეთის კოოპერატიულ ამხანაგობის განკარგულებაში ბათუმს გაიგზავნა სხვადასხვა საქონელი: შაქარი ასი ათასი ფუთი, ცოტაოდენი ფქვილი, სიპონი და სხვ. მოსული შაქარი უნდა მიეცეს ამ დაწესებულებებს, რომელთაც ჩაბარეს ნედლი მასალა, უნდა უცადონ 3—4 თვე, სანამ მათ მიერ ჩაბარებული ნედლი მასალა გასაღდებოდეს, არამედ აქვთ საშუალება ნედლი მასალის გაგზავნამდე მიღონ საჭირო საქონელი ინგლის-რუსეთის კოოპერატიულ ამხანაგობისაგან ბათუმში.

ინგლის-რუსეთის კოოპერატორმა ამხანაგობამ უკვე დასდო ხელშეკრულებანი და იღებს ბათუმში ნედლ მასალას რუსეთის საგარეო ვაჭრობის განყოფილებისაგან, ცენტროკავშირისაგან, ადგრბეიჯანის თევზეულობის სამმართველოსაგან, სპარსეთის საგარეო ვაჭრობის კომისარიატისაგან, უკანასკნელი ამ დღეებში ჩაბარებს 200.000 ფუთ ნედლ მასალას. (ბამბას, მატყლს, ბეწვეულს და სხ.).

საუბრის დასასრულში ამხ. გლეიზერმა გამოსთქვა რწმენა, რომ ინგლის რუსეთის კოოპერატიულ ამხანაგობა შეძლებს სათანადო კონცენტრაცია უყოს საექსპორტო ნედლ მასალას და მოიგვაროს საგარეო ბაზართან საქონლის ნორმალური გაცვლა გამოცვლა.

გარდა ამ ცნობებისა ინგლის რუსეთის კოოპერატიულ ამხანაგობის ამოცანების შესახებ, დიდ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე ცნობები, რომელიც მოაწოდა ჩვენს თანამშრომელს ცენტრო-კავშირის ამიერ კავკასიის კანტორის თავმჯდომარემ დიაკონმა.

ინგლის რუსეთის კოოპერატიულ საზოგადოების საწყობი ბათომში თამაშობს ბაზ საწყობის როლს ცენტრო-კავშირის საექსპორტო საიმპორტო ოპერაციების საქმეში. ინგლის-რუსეთის კოოპერატიული ამხანაგობა ინახავს თავის საწყობში საქონლის დიდ პარტიებს იმ ნედლ მასალაზე გადასაცვლელად, რომელსაც ინგ.-რუს. კოოპ. ამხანაგობას აბარებს, ცენტრ-კავშირის ადგილობრივი კანტორებს, ამიერ-კავკასიის კოოპერაცია და სხვა ორგანიზაციები—სანამ დამზადება და ნედლი მასალის ექსპორტი არ არის მიქცეული ერთ ორგანოს ხელში. ცენტრო კავშირმა უკვე ჩაბარა ინგლის-რუსეთის კოოპერატ. ამხანაგობას 50 ვაგონი ჩპანის მატყლი (20 ათას ფუთამდე), რომელიც ჩამოტანილია ჩრდილო-კავკასიიდან, 1000 ფუთამდე გაწმენდილი მატყლი, 25 ათას ფუთამდე ცხვრის ტყავი.

ცე კავშირის მიერ ნედლი მასალის დამზადება ამიერ კავკასიის რესპუბლიკების კოოპერატივების საშუალებით გრძელდება, წარმატებით სწარმოებს.

ამ ბრძ მუშაობა სპარსეთის ბაზარზე და სხვ. ჯერ ჯერობით ბათუმი არის უმთავრესი ნავთსადგური შავზღვაზე, რომელიც აერთებს საბჭოთა რესპუბლიკებს ევროპასთან. ამიტომ ინგლის-რუსეთის კოოპერატიულ ამხანაგობის საწყობში ბათუმში პოულობს უაღრეს მნიშვნელობას.

ინგლის-რუსეთის კოოპერატიულ ამხანაგობისათვის ჩაბარებულ ნედლი მასალის კვალობაზე, ცე კავშირმა მიიღო იმისაგან დასავლეთ ევროპის საქონელი, შაქარი და სხვა.

წერილი რედაქციის მიმართ

ჩვენ, ქვემოდ ხელის მომწერლებმა, ავიეიეთ რა მენშევიკების პროვოკაციას, არ გამოვცხადდით სამუშაოზე ამა წლის 23 26 მაისს, ეხლა კი ღრმად ვინანიებთ ჩვენს მიერ ჩადენილ საქციელს, და ვიძლევით პატიოსან პროლეტარულ სიტყვას, რომ მთელი ძალებით დავიცავთ მუშურ-გლეხურ მთავრობას და ამ მხრივ ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს საბჭოთა ხელისუფლების მტრების ყოველივე ისეთ გამოსვლებს, რომელთაც მიზნად აქვს ააყეთქონ ეს ხელისუფლება.

ვუცხადებთ რა ზიზღს მენშევიკებს, ჩვენ ვაცხადებთ, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიაა ერთადერთი დამცველი მუშათა კლასისა.

მუშები: ზაქარია გუჯანელიძე, აგაფონ მეკობეიშვილი, არმენაკ ოგანეზოვი, ქურხული, მელიკ გრიკუროვი, სტურუა, ნინა არეშიძე.

მოსავლის მოკმედეგანი და განკარგულეგანი

ბრძანება.

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილებისა. ქალაქის მ. გ. მილიციის მიმართ

№ 18

4 ივლისი 1922 წელი ქალ. ტფილისი.

წინადადებას ვაძლევ ქალაქის მ. გ. მილიციის უფროსს მიიღოს განსაკუთრებული ზომები შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების დადგენილების ცხოვრებაში სრული სიმტკიცით გასატარებლად.

ბათუმის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის თათბირი რაიკომების მდივნებსა და ყველა სარაიონო ორგანიზატორებთან ერთად (მათ რიცხვში ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორებიც).

სხდომაზე მოწვეულია აგრეთვე საქართ. საგანგებო კომისიის იაჩეიკის მდივანი.

ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

თბილ. კომ. საორგანიზაციო განყ. გამგე **რუბენი.**

2 რაიკომისაგან.

დღეს, 5 ივლისს, საღამოს 5 საათზე მე-2 რაიკომის ბინაზე შესდგება დელეგატების კრება იაჩეიკების მდივნებსა და იაჩეიკებზე მიმაგრებულ ამხანაგებთან ერთად აღნიშნულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

პასუხ. მდივანი **კევორკიანი.**

საბუდაბაციის კრებული

ს. ს. ს. რ. მიწათ-მოქმედების ბიბლიოთეკა

კომისარიატი

ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ სასტიკათ აკრძალულია ყალბი ეტიკეტებით ღვინოთ ვაჭრობა

ღვინით მოვაჭრენი, რომელთაც მიწათ-მოქმედების კომისარიატის (ყოფილი საუფლისწულო უწყების) ღვინოების მსგავსი ან მიმგვანებული ეტიკეტები აღმოაჩნდებათ, დატუსაღებული იქნებიან და ღვინოები ჩამოერთმევათ დამშეულთა სასარგებლოთ.

ეტიკეტების შემოწმება დაიწყება ამა წლის 15 ივლისიდან

მიწათ-მოქმ. კომისარიატის საქმეთა მმართველი: **გ. ბერიძე.**
სახელმწიფო ღვინოების საწყობის გამგე: **ვ. კანდელაკი.**
(3—2)

ქ. თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებიდან

შაბათს, 8 ივლისს

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბოსტნეულობის: პომიდორის, კართოფილის, კომბოსტოსი, ბადრიჯანის, კიტრის და სხვა და სხვა წვანილეულობის, აგრეთვე სიმინდის, ქალაქის მამულში № 1. (ყოფილი მანთაშევის მამული) ვარანცოვის, № 125.

საჯარო ვაჭრობა მოხდება 8 დილეტინა მიწაზე დათესილი ზემოხსენებული ბოსტნეულობით

საჯარო ვაჭრობა შესდგება ქ. № 1 მამულში (ყოფილი მანთაშევის ბაღი) დღის 12 საათზე. თუ დანიშნულ დროს საჯარო ვაჭრობა შემთხვევით არ შესდგა, უკანასკნელად გადიდება მეორე დღისათვის (9 ივლისი) დღის 12 საათზე იმავე ადგილზე.

საჯარო ვაჭრობის პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ქალაქის საადგილ-მამული განყოფილებაში, ოთახი № 52, ან ქალაქის № 1 მამულში.
(2—2)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიზეიულ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
(25—3)

განცხადება

თანახმად ქალ. თგ. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა 24 მაისის ა. წ.

თვითეულ სამილიციო უბნებისათვის ინიშნება შემდეგი დღეები სადარაბო ქირის შემოსატანად ყოველთვიურად ა. წ.

დარაბების მეპატრონეებმა აუცილებლად უნდა შემოიტანონ სადარაბო ქირა ქალაქის სალაროში აღნიშნულ ვადებში.

1 უბანი	28—29	რიცხვი ყოველ თვისა
2 „	15,16 და 17	„ „ „
3 „	18,19 და 20	„ „ „
4 „	12,13 და 14	„ „ „
5 „	8,9,10,11	„ „ „
6 „	30	„ „ „
7 „	21—22	„ „ „
8 „	4,5,6,7	„ „ „
9 „	1,2,3	„ „ „
10 „	23,24,25	„ „ „
11 „	26	„ „ „
12 „	27	„ „ „

1-ლ ივლისიდან სადარაბო გადასახადი იმ დარაბებზე, რომლებზეც არ იყო მოპატებული სახით შეწეული გადასახადი 1-ლი მაისიდან ა. წ. გადადებული იქნება 50 პროც.

ის მოიჯარადენი, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ შამოიტანენენ საიჯარო გადასახადს, გადაიხდიან ჯარიმას 50-ათას მანეთს ყოველ გადაცემულ დღეებზე. ის მეპატრონენი, რომლებიც გადააცილებენ 10 დღეს კარგავენ უფლებას თავის დარაბზე.

ქალ. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის
სანიფანსო განყოფილების გამგე: **თ. ღლონტი.**
(5—5)

ხელის მოთმწერთა საყურადღებოდ

ფულის დაგვიანებით მიღებისა და გაზეთების გზავნის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად, გაზეთის ტ რ ე ს ტ ი ს მთავარი კანტორა იღებს ხელის მოწერას ივლისის და შემდეგი თვეებისათვის.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისის** და **ბათუმის** ყველა გაზეთებზე.

ხელის მოწერის ფასი—ძველია.

ვინც 30 ივნისამდე არ მოაწერს ხელს, მათ მოეპარებათ გაზეთების გზავნა 1 ივლისიდან

ტეზნიკუმის მასწავლებელი

ი. მაჩაიძე (ყოფ. გიმნაზ. გამგე და დამაარსებელი) ამზადებს განმეორებითი გამოცდებზე: მათემატიკაში, ქართულ, რუსულ და ახალ ენებში. აგრეთვე ყველა სასწავლებელში შესასვლელად მე-V, VI კლასში. ჰლეტნოვის და ალექსის ქუჩა, № 25 | 5 ნახვა 9—12 3—6 ს. (2—1)

ქ. ტფილისის მე-6 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ხაირულა აზიხანის ძე კრიმჩეევის დანაშაულ ქონებაზედ თავის კამერაში (სურპ კარაპეტის ხეივი № 3) დღიდამ ამის გამოცხადებისა ორი თვის განმავლობაში. (1—1)

დაიკარგა

პირადობის მოწმობა და სარეგისტრაციო ბარათი გიორგი არჯევანის ძე შაყულაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1—1)

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის თესვის კომიტეტების ყრილობა

ყრილობის გახსნა.

1 ივნისს დაიწყო მუშაობა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის თესვის კომიტეტების ყრილობამ.

ყრილობა გახსნა ამხ. ფილ. მახარაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ თესვის კამპანიის ორგანიზაცია არის პირველი შვილი საბჭოთა ხელისუფლებისა და რომ საბჭოთა ხელისუფლებისა დამყარებამდე საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ არც ერთ მთავრობათაგანს ასეთი კამპანია არ ჩაუტარებია. საბჭოთა ხელისუფლებას როდესაც იგი აწყობდა და ატარებდა თესვის კამპანიას არავითარი სხვა მიზანი არ ქონებია გარდა იმისა, რომ ეხსნა მცხოვრებლები მომავალში სიმშილობისაგან.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ 1921 წლის გაზაფხულზე ადგილობრივ დამუშავებული პროგრამები, სავლებით არიან განხორციელებული.

თესვის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. გ. გეცმა გააკეთა ვრცელი მოხსენება 1921—1922 წლების თესვის კომპანიის შესახებ.

1921 წლის გაზაფხულის თესვის კამპანია.

სტატისტიკური ცნობების თანახმად საქართველოში 1915 წელს, ბათომისა და სოხუმის ოლქის გარდა, სულ დათესილი იყო ხორბლეულობით 600,000 დესიატინა მიწა; აქედან: ზამთრის პურით—144,600 დესეტინა, ხოლო გაზაფხულის პურით—102,200 დესიატინა, სიმინდით—289,200 დესიატინა. თუ ვიანგარიშებთ საშვალო მოსავალს, ეს შედგენდა ზამთრის პურის 40 ფ. × 144,600 დესიატინაზე, რაც უდრის—7,230,000 ფუთს. გაზაფხულის პურის—55 ფ. × 162,200 —9,141,000 ფუთს და სიმინდის 80 ფ × 289,200=23,136,000 ფუთს. სულ—39,507,000 ფ თუ ამას გამოვაკლებთ სათესი მასალის რაოდენობას—4,000,000 ფუთს ჩვენ დაგვრჩება 35,507,000 ფუთი.

საქართველოს 2,300,000 მცხოვრებლების დროს თვითეულ სულზე წლიურად მოდიოდა დაახლოვებით 15 ფუთი ხორბალი. თუ მივიღებთ ხელოვნურობაში იმას, რომ ამ რიცხვიდან ნაწილი იხარჯებოდა შინაურ ცხოველებისა და ფრინველების გამოსაკვებათ, მაშინ თვითეულ სულზე რჩებოდა თვიურად არა უმეტეს ერთი ფუთი საკუთარის პურისა. ამ ანგარიშიდან ცხადია, რომ თვითეული მცხოვრებელი ყიდულობდა წლიურად თავის თავისათვის 6 ფუთ პურს, რაც ეხსნება ის გარემოებაც, რომ რუსეთიდან საქართველოში ყოველწლიურად შემოდიოდა 6—7 მილიონი ფუთი პური.

1915 წლის შემდეგ ნათესი ადგილები საქართველოში ყოველ წლივ მცირდებოდა.

ამ სამწუხარო მოვლენის მთავარ მიზეზებს წარმოადგენდა: მთელი რიგი ომებისა 1915 წლიდან დაწყებული ვიდრე 1922 წლამდე, პერიოდული კლიმატიური უამინდობა, რომელიც ძალიან ხშირი გახდა ამ უკანასკნელ ხანებში—სეტყვა, დიდი ნიადაგრები, გვალვა და სხვ. 1920 წლისათვის ნათესი ადგილების სიერცე შემცირდა 56,500 დესიატინით, ხოლო 1921 წლის გაზაფხულისათვის კი, რადგანაც მცხოვრებლებს არ ქონდათ გაზაფხულის პურის თესლი და რადგანაც თითქმის 50 პროცენტ დაიღუპა ზამთრის პურის მოსავალი, ნათესი ადგილების სიერცის შემცირება მოსალოდნელი იყო 30—40 პროცენტამდე მაინც, თუ მეტით არა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ მიაქცია ამას ყურადღება და მოიღო რიგი ზომები მიღო იმისათვის, რომ თუ სავსებით ვერ მოსპობდა დაუთესველობას მაწყობისას, ყოველ შემთხვევაში საგრძნობლად მაინც შეემცირებია იგი, 1921 წ. 18 მარტის საქართველოს რევკომის დადგენილებათ, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან დაარსებული იქნა დროებითი თესვის ცენტრალური კომისია, რომელსაც დავალებული ქონდა საქართველოს რესპუბლიკაში მიწების დათესვის ხელმძღვანელობა და რომელიც თავის მხრივ ყველა მაზრებში აარსებდა თესვის კომიტეტებს საუწყებათა შორისო პრინციპზე.

15 აპრილისათვის ამ კომისიებმა გამოარკვიეს, რომ 1920 წელთან შედარებით დაუთესავ მიწების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა და ამიტომ მთავრობის მიერ გადადებულ 1.087.6140.000 მანეთით. თესვის ცენტრალურ კომისიამ მოაწყო თესლების შესყიდვა შედარებით უფრო კარგ მოსავლიან მაზრებში (გორისა და სიღნაღის) და ამ თესლის გაგზავნა იმ მაზრებში, რომელნიც საჭიროებდენ მას.

თესვის სამაზრო კომისიები, თესლის შესყიდვის გარდა, ძლიერ უწყობდენ ხელს გლეხებს შორის ერთი მეორისათვის თესლის სესხებას, ვინაც კი ამის შეაძლებლობა ქონდა და მათ თესვის კომისიები აძლევდა გარანტიის იმისას, რომ ეს გასესხებული რაოდენობა მათ უკანვე დაუბრუნებოდათ. ამ საშვალებით დათესილ იქნა ბნიშნელოვანი რიცხვი ადგილებისა.

თესვის კომიტეტებმა შეიძინეს და დურაგეს მცხოვრებლებს 63,185 ფუთი გაზაფხულის პური, უმთავრესად სიმინდი, რომელთაც დათესილი იქნა 20 844 დესიატინა მიწა, ხოლო სულ მთლად თესვის კომიტეტების დახმარებით რესპუბლიკაში დათესილ იქნა—78 877 5 დესიატინა.

კამპანია დასრულებულ იქნა 1 ივლისისათვის.

1921 წ. შემოდგომის თესვის კამპანია.

განვლილ გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს დაუთესავი მიწების რაოდენობა შემცირდა მინიმუმამდე 5,2 პროც.—1920 წლის დათესილ მიწების რაოდენობასთან შედარებით. თა რესპუბლიკაში დაარსდა დაბრუნების ვალდებულებით სათესი ფონდი—66318,5 ფუთი სხვა და სხვა გაზაფხულის პურის თესლისა, ქართოფილისა და სხვ. მაგრამ, მოუსლოდნელათ მთელ რესპუბლიკაში დაიწყო გვალვები, ხოლო შემოდგომაზე კი გაუწყვეტელი წვიმები და სხვა გვარი უამინდობა, ყოველივე ამან საგრძ შემცირა მოსავლის რაოდენობა, ხოლო ზოგიერთ რაიონებში კი მოსავალი საერთოდ დაიკარგა და რესპუბლიკას თავს და ტყვდა სოცარი უბედურება—მოუსავლობა მთელი თავისი შედეგებით; და ამიტომ 24 აგვისტს მთავრობამ დაავალა ვ. ლენინ დასტოვოს თესვის ცენტრალური სამაზრო კომისიები. რესპუბლიკის ყველა მიწების დასათესად გამოითხოვილ იქნა 9 მილიარდი მანეთი, ხოლო ფაქტიურად კი მიღებული იქნა 1.821.000.000 მანეთი, რომლიდანაც 1 მილიარდი მანეთი სახალხო სასურსათო კომისარიატმა დამზადა 8.100 ფუთა ხორბალი, ხოლო დანარჩენი—821 მილიონი მანეთი დაეჭირა ოპერაციულ ხარჯებს, თესვის სამაზრო კომისიებს და მათ ჯამგირებს 1921 წ. 1 აგვისტოდან, 1922 წლის 1 ივნისამდე თესვის ამ კამპანიის მუშაობის პირობებში ძალიან მსუქნე იყო, როგორც ფულის უქონლობის, ისე მთელი რიგი სხვა-გვარი მიზეზების გამო.

1922 წლის გაზაფხულის თესვის კამპანია.

მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში თესვის ცენტრალურ კომისიას მოუვიდა სამაზრო კომისიებიდან მოთხოვნილება 430,000 ფუთი გაზაფხულის კულტურის თესლისა, განსაკუთრებით სიმინდის, ხორბლის ქერის და სხვა. სათესლე მასალის საერთო მოთხოვნილება მთელი რესპუბლიკისათვის უდრიდა 2.000 000 ფუთს.

გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს თესვის ცენტრალურმა კომისიამ შეიძინა და გაანაწილა მაზრებს შორის 100,000 ფუთი ავსტრალიური ხორბალი, 98,510 ფუთი რუმინიული სიმინდი და 58,600 ფუთი ამერიკული სიმინდი, სულ 257,110 ფუთი სათესი მასალა (ე. ი. 10 პროც. მოთხოვნილებისა).

როგორი პირი უჩანს მოსავალს.

თესვის ცენტრალური კომისიის ცნობების მ ხ დვით, აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ზამთრის, ისე გაზაფხულის პურის მოსავალს კარგი პირი უჩანს. დასავლეთ საქართველოს მაზრებში მდგომარეობა ცოტათი უფრო ნაკლებია, რადგანაც დათესვის დროსა და სიმინდის ამოსვლის პირველ პერიოდში გვალვა იყო და უწვიმობის გამო ზოგიერთ მაზრებში გამოჩნდა ბევრი მავნებელი ნათესისა: სიმინდის მავნე მწერები (სენაკისა და ოზურგეთის მაზრაში), მინდვრის თაგვი (ქუთაისის მაზრაში) და სხვა, რომელთაც საგრძნობელი ზარალი უკვე მიაყენეს ნათესებს, მაგალითად სენაკის მაზრაში განადგურებულია დაახლოებით 1500 დესეტინა დათესილი სიმინდისა.

სათესი ფონდის ორგანიზაცია.

ყველა ამ სამი თესვის კამპანიის დროს თესვის ცენტრალურმა კომისიამ გაანაწილა მცხოვრებლებში 397318,5 ფუთი სათესი მასალა, ხოლო თუ ამას დაუმატებთ სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან მიღებულ 100,000 ფუთს, რომელიც აგრეთვე დარიგდა მცხოვრებლებს შორის—სულ გამოვა 407318,5 ფუთი.

ეს ხორბალი საჭიროა აუცილებლად იქნეს შეკრებილი, რაცა შევქმნათ რესპუბლიკაში მუდმივი სათესი ფონდი, რომელიც უნდა დარჩეს მი წათმოქმედების სახალხო სასურსათო კომისარიატის განკარგულებაში თესვის საჭიროებისათვის მთელ რესპუბლიკაში და ეს ფონდი ყოველწლიურად უნდა ახლდებოდეს, გადარჩენათა და გაწმენდით.

ამ მოსაზრებით მოსმენით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა.

პარტიული

ხუთშაბათს, 6 ივლისს, საღამოს 5 საათზე საქართ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება **თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის თათბირი** რაიკომების მდივნებსა და ყველა სარაიონო ორგანიზატორებთან ერთად (მათ რიცხვში ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორებიც).

სხდომაზე მოწვეულია აგრეთვე საქართ. საგანგებო კომისიის იაჩეიკის მდივანი.

ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

თბილ. კომ. საორგანიზაციო განყ. გამგე **რუბენი.**

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.